

ლიტერატურული მესხეთი

№12 (216)
დეკემბერი
2016 წელი
ფასი 40 თეთრი

გამოცემის მეთვრამეტე წელი

“LITRURULI MESKHITI”

“-ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

შოთა რუსთაველი - 850



რუსთაველი



ჯგავსებით მოდიოდა წმინდა ნინო ბოდბელი,
თქრთს ქარვია ედგათ ვანებს
ჯგავრდინა ჯგვრებიანს,
ქრთდა სით, საქართველთს
ბუღლზე დანასთველები,
ყოფი უფიძი სამყაროზე ქრისტეს მუუფებისა...

წინ დრო იდო საუკუნედ ათი-თერთმეტოდე,
ვეფხის ტყაყის პერგამენზე იწვა
საქართველო და,
ღვთისმშობელის კვართისაგით შუუბლაღვე
ტილოზე,
ტორტმანებდა დედამიწა და
რუსთაველს ელოდა.

მოდიოდა პომპროსზე უფრო დიდი ტიტანი,
სიბრძნით, რწმენით, სასოებით,
სიყვარულით სულისაგვე,
ბიბლიური იყო მისი ყველა ასო-სიტყვანი,
სისხლით წერდა ტილო-კვართზე,
ჯგავრი ესვა სურბზე...

ამ სურბიდან ხვრებდა ღვინოს, ზედაშეუთ
კრიბლის,
ვამს წურავდა, ბარბისს სვამდა, საკუეველით
თვრებოდა,
რასაც წერდა შიბრი და პოეზია კი არა,
ქრისტეს მონოლოგი იყო ზარზმის წმინდა
ეზოდან...

სურვიდითა გვანს ეწერა ვაბრწყინება ვარსკვლავის,
ჯერ პატარა ბავშვი იყო, მანარია მანარე,
იღვიძებდა და სამყარო თენდებოდა კანკალით,
ფეხს ადგამდა კარის ზღურბლს და
ზანზარებდა სასახლე...

საქართველო პოეზიის სიგლობლად ბქცია,
ნისლი ფრთებად აკეცა, ყალბით ზღვები დაამრო,
გულს სდიოდა სიყვარული,
ქარ-ნისლები ცას ვითა,
ბქეთ იყო გულანძარო, ბქეთ - მუღღანზანზარო...

უფლის მცნებებს ლექსად წერდა,
შიბრებად - იფავებს,
სანთლად ერთო სტრიქონები
ფსალმუნებად ქარგული,
ვინ იცოდა, რუსთაველი როცა თამარს მიჰგვარეს,
ბქნებ თვითონ ქრისტე იყო, ციდან ჩამოპარული...

რისი ხრამლი, კაღმის წვერზე იბრწოდა სამყარო,
ადამივით მარტო იყო, ევასავით მზე ჰყავდა,
დაწერა და საქართველოს, - რითაც
დღემდე ვამყობთ, -
დაბრქვა და სულ ერქმევა რუსთაველის
ქვეყანა.

ჯუზა ლეგელი



რუსლან ფიჭინაშვილის ნახატი



„პატარა არ ეთქმის ერს, რომელმაც შვა
რუსთაველის დონის პოეტი. ქართველი
ხალხი დიდი ერია, ხოლო რუსთაველი ყველა
დროისა და ხალხის უდიდესი პოეტი“.

გუსტავ კირკი,
გერმანელი მეცნიერი



ღუმიჯან ბარბაქაძე

ყვავილებს ვყვები...
ლამაზი ყვავილებია...
წითელი, ყვითელი, ლურჯი, მოცისფრო და მონაცრისფრო...

ჩემთვის ყველაზე საყვარელი ფერი მანც მწვანეა, დამაიმედებელი და დამამშვიდებელი. ახლა გავიგე ყვავილების ემზი და ვისწავლე მისი ფასი.

ჩემს გვერდით ზაქირა დგას. ისიც ყვავილებით ვაჭრობს. ვყიდით ყვავილებსა და „ვირიობთ“ თავს. ორივე კარგად შევგუხეთ მოსკოვს. ერთია, მოსკოვი ვერ გვეგუხება ჩვენ. ვართ, ასე, გერბივით, ამხელა ქალაქში. ხან „პროპუსკზე“ გვდებენ შარს, ხან ულვაშით რატომ დადიხართო, ხან, კიდევ, - უულვაშოთო. გახსოვთ, ალბათ, სცენა კინოფილმიდან - „ტარიელ მკლავაძე“, - ჩხუბის ხასიათზე რომ იყო და თანამეინახეს აუშარდა, - რატომ არ სვამო!

- ესვამ, ბატონო! - და, რატომ სვამ, შენი ყველაფერი... და წამოუთქა კიდევ. ასე, რომ, როცა მიზეზს ეძებენ, საბაბიც ხელში უჭირავთ.

ჩვენც, ვართ ასე, სხვისი ხელის შემყურე და პირში წყალჩაგუბებულები.

ზაქირა ჩემი ტოლია, დაბალ-დაბალი და შავტუხა, გადაპრებილი ულვაშებით. თეთრი, ქათქათა, რუსი გოგო ახლავს სულ, - მარინა ივანოვნა. იგი აქაურია, მოსკოველი, სკოლა ახლახან დაამთავრა. ისინი, როცა ერთად გაივლიან ხოლმე, „ზანგის“ ღიმილი მახსენდება, ნამცხვარი რომ არის, - ნახევარი კუპრივით შავი, ნახევარი, კიდევ, რძესავით თეთრი, მაგრამ გემრიელი, მის ჭამას რომ არაფერი სჯობს.

მართალია ზაქირა მარინა ივანოვნას მხრებამდე ძლივს სწვდება, მაგრამ ამ ნაკლს არაფრად ვუთვლი. ჰოდა, დადიან სულ ერთად, შესცივინებენ ერთმანეთს თვლებში მყიდველსაც, მილიციელსაც და თავიანთ „კრიშა-რეკვირირებსაც“.

ზაქირამ იცის თავისი საქმე: თუ მყიდველი „ლიც კავკასკი ნაციაა“, გაუღიმიებს, გამოუჩენს ჩანაიკნიკებულ ოქროს კბილებს. მოეფერება - „სალამ ალიეკომ“-ო - ეტყვის. თუ შეცდა და „ზემილიაი“ არ გამოდგა, „ცავატანემ“ ან - „გენაცვალეო“ - დააყოლებს და მე გადმომილოცავს. თუ აქაც არ გაგვიღიმა ბედმა, მეც მაშინვე მარინა ივანოვნას გავეძახებ და იმანაც იცის თავის საქმე.

ზაქირაც ჩემსავით გაჭირვებულ ცხოვრებას გამოქცევია, - კაპიკს, კაპიკზე ადებს, ზოგჯერ ცარიელა პურსა და წყალზე გადაივლის და დიდ ოჯახს ინახავს იქ, აზერბაიჯანში. ჰოდა, ჩვენც ვდგავართ ერთად და „გულს ვიფხანთ“ წარსულის მოგონებებით.

- მე ინტერნაციონალისტი ვარ! - თავისი ჩიქორთული რუსულით მითხრა ამ დილით ზაქირამ და ყინვისაგან გათოშილი ხელები მოიფშვინა. მერე, ჩვეულებისამებრ, ულვაშები ჩამოიწმინდა და გვერდით მოფუსფუსე მარინა ივანოვნას გადახედა: - მამა აზერბაიჯანელი მყავდა? - მყავდა! დედა სომეხია? - სომეხია! საქართველოში დავიბადე? - დავიბადე! ახლა მოსკოვში ვარ? - ვარ! მე ისიც ვიცი, აქამდე რა-

ტომ მიყურებდი შენ ასე, ალმაცერად. - რატომ-მეთქი? - ვკითხე. - იმიტომ, რომ ალაჰმა უწყის, არავინ მომიკლავს ჩემს დღეში.

ზაქირა კიდევ, ჩემთვის, პაპას დაურქმევია, დიდი პაპის საპატივსაცემოდ. ისტორიაც არ მიყვარს, რადგან ერთხელ ისტორიის მასწავლებელმა თითქმის მკვლელობაში დამდო ბრალი.



მე ცნობისმოყვარეობით მივაშტერდი ზაქირას.

- ჰო, ჰო, ასე იყო, ნამდვილად! ვინმე ზაქირამ სასიკვდილოდ დაჭრა „გურჯისტანის“ მეფე ლუარსაბ პირველი.

- მე რა შუაში ვარო! - ვიყვირე ადგილიდან.

- შუაშიც შენ ხარ და თავშიცო! - მითხრა მასწავლებელმა.

მერე კლასს გადახედა: იმ ზაქირამ ქართველებთან სირცხვილი გვაჭამა. შენც ზაქირა გქვია და მინდა იცოდე - თუ გადარჩენა გვიწერია, ერთმანეთის სიყვარული გადაგვარჩენსო, ჩვენ!

იმის შემდეგ თითქოს დამნაშავედ ვგრძნობ თავს, თქვენთან. ვცდილობ, ოდესღაც ჩემი სენხის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოვანსორო. ჩემს შვილებსაც ასე ვასწავლი, ახლა. რა გვექონდა გასაყოფი მაშინ, ან რა გვაქვს სადავო, ახლა?

ვატყობ, დრომ ჭკუა ვერ ვასწავლა. აქ, ამათთვის, ყველანი ერთნი ვართ - „ლიც კავკასკოი ნაციონალნოსტი“. ხოლო იქ, სხვადასხვა ერად ვიყოფით და ვჭამთ ერთმანეთს.

თანაგრძნობით შევხედე ზაქირას. მერე ჩემი ყვავილებიდან ყველაზე ლამაზი ვარდი ამოვარჩიე და მივართვი მის გულსსწორს.

- ყვავილები, ყვავილები... აქეთ, ბატონებო, აქეთ! - ხმაურობს ზაქირა.

- სამოთხის ყვავილები, სიცოცხლის ყვავილები, ყვავილები იაფად! - ბანს ვაძლევ მეც.

ხალხის ნაკადი მორევით ირევა ირ-

გვლივ. ზოგი ცნობისმოყვარედ აყოლებს თვალს ჩვენს თაიგულებს... ზოგი, კიდევ, დგას და ყვავილების სურნელებით თვრება.

- ყვავილები, ლამაზი ყვავილები! - ზაქირას ხმას მარინა ივანოვნას ხმაც აძლევს ბანს...

- ვახ, ვახ, ვახ! ამას ვის ვხედავ, აქეთ მობრძანდით, ბატონო, აქეთ! - არობობდა ზაქირა.

ზე უკრავთ და მღერისხართ? - მღერისხართ! მე მასწავლით, ვინ უნდა იყოს?

- მერე რა, რომ მღერის! ეს ჩემი მეუღლეა და თქვენ მასწავლით, ვინაა იგი?! - საუბარში ჩაერია ისევე თანმხლები ქალიშვილი.

- იყოს შენი მეუღლე, რა. აგერ, მეც მყავს სამოქალაქო ცოლი - მარინა ივანოვნა. რა მოხდა მერე. ამ კაცს ჩემზე უკეთესად იცნობ თუ რა! - კვლავ იხტიბარი არ გაიტეხა ზაქირამ. მერე მე შემომხედა.

- მიდი და ტელევიზორს დაუჯერე. ერთი თვის წინათ გადმოსცეს - ბულატ ოკუჯავა მოკვდაო და აგერ, არ დგას ახლა აქ?... ალბათ, სოფლელი რომ ვარ, ჩემი ადგება უნდათ... „ახალი რუსი“ ვარო! არც მე ვარ, ბატონო, ძველი! აბა, მარინა ივანოვნა, შენ იცი, ვიდრე მე ავტოგრაფს გამოვართმევდე ამ ცნობილ კაცს, შენ ყველაზე საუკეთესო თაიგული შეურჩიე, ქალბატონს. მერე, რა ლამაზი ქალია, რა სასიამოვნო შუბა აცვია, ალბათ, თურქეთშია ნაყიდი.

- არა, ფრანგულია. გასულ წელს შევიძინეთ ამერიკაში, - თქვა ქალმა.

მარინა ივანოვნამ დიდი თაიგული შეუკრა და თხელ, სიფრფხანა ცელოფანში გამოახვია.

- ასეთ ლამაზ თაიგულს მთელ მოსკოვში ვერ მოძებნით, ქალბატონო, შენსავით ლამაზია, დამათრობელი! - მოქეთინაურა მარინა ივანოვნაც ქალს.

- სულ მუქთად მოგართმევთ, სამას მანეთად, ესეც იმიტომ, რომ საყვარელი პოეტის მეუღლე ბრძანებულხართ.

ზაქირამ საიდნაღაც კალამი ამოაძვრინა და ქალაღს დაუწყო ძებნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ირგვლივ მყოფთ, არავის აღმოაჩინდა.

ზაქირაც არ დაიბნა. ხელი გამოსწია წინ...

- ა, ბატონო, ხელისგულზე დამიტოვეთ თქვენი ავტოგრაფი, რომ ყოველდღე ვუყურო, ვინ იყიდა ჩემგან თაიგული.

ზაქირას განვიდო ხელში ჭალარა პოეტმა სამი ასმანეთიანი ჩადო. მერე ზედ ხელისგულზე ავტოგრაფი წაანერა. მერე თაიგულს სათუთად გადაუსვა ხელი და ქალი მკერდში ჩაიკრა.

როცა ორივენი გაგვიშორდნენ, ერთხანს, უხმოდ მისჩერებოდა მათ ზიქარა. ბოლოს გადმოხედა და ჩაიცინა:

- მაინც ვერ გავიგე, ვინ იყო ის კაცი.

- ბულატ ოკუჯავა არ ვარო! არც ევტუშენკოა... გიტარაზე უკრავს? - უკრავს! ლექსებს წერს? - წერს! მღერის? - მღერის!... მარინა ივანოვნა, რას იტყვი, რა ჰქვია იმ კაცს, სცენაზე რომ გამოდის ხოლმე და თავის ცოლზე, თურმე, ოცი წლით უფროსიც რომ ყოფილა!

მერე კვლავ გამოაჩინა ოქროს კბილები ზაქირამ, სწრაფად ჩაბლუჯა ასმანეთიანები და ჯიბეში უკრა თავი...

- სამჯერ მეტი კი გამოვართვი, იმ „ახალ რუსს“. არც მე ვარ „ძველი“... ისე, მიდი და დაუჯერე ახლა ტელევიზორს... ბულატ ოკუჯავა მოკვდაო, რომ გადმოსცეს გასულ კვირას, მართლა რომ მომკვდარიყო, ვინ იყიდა, ასე ძვირად, ჩემს თაიგულს?...
კოპაძე და ადიგენის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაქარია ენდელაძემ.

მაგმუკა კალანდაძე

ჭრადიერი სახალხო დღესასწაული იზეიმეს

ამა წლის 11 ნოემბერი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი იყო როგორც ადიგენის მუნიციპალიტეტის, ასევე, მთლიანად, რეგიონის მოსახლეობისთვის. ამ დღეს მართლაც მალალ დონეზე

აღინიშნა დიდი ქართველი სასულიერო მოღვაწის წმინდა სერაპიონ ზარზმელის ხსენების დღე. ზარზმის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში სადღესასწაულო წირვა აღავლინა ახალციხისა და

ტაო-კლარჯეთის მთავარეპისკოპოსმა, მეუფე თეოდორემ. სადღესასწაულო ლიტურგიას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეული საერო და სასულიერო პირებიც ესწრებოდნენ.

სადღესასწაულო წირვის შემდეგ მოეწყო კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები, სადაც მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივმა ფოლკლორულმა და ქორეოგრაფულმა ანსამბლებმა, სახელმწიფო ანსამბლ „ურისიონთან“ არსებულმა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „მომავალმა“.

სახალხო დღესასწაულზე ჩამოსულ სტუმრებს შესაძლებლობა ჰქონდათ გაცნობოდნენ ადგილობრივი ხალხური რენეის ოსტატთა ნამუშევრებისა და მხატვარ-შემოქმედთა გამოფენას. დამსწრე საზოგადოებას



„ზარზმობის“ სახალხო დღესასწაული მიულოცეს ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის მიტროპოლიტმა, მეუფე თეოდორემ, ახალციხისა და ადიგენის ახლადარჩეულმა მასწავლებელმა დეპუტატმა გიორგი



შოთა ზოგონიძე

მზე იყო თვითონ

სხვას მზეს ადრიდა, მზე იყო თვითონ და აზრის სიღრმე შოთათი სუნთქავს; გადავშლი წიგნს და დამზრალ სულს ვითხოვ, ნეტავ რაღაა, რაც მას არ უთქვამს.

უფალო, თუკი მიმაგნებინებ რასაც კი დღემდე ბინდი ებურა, თუ კალამს ხელში ამაღლებინებ და მათქმევინებ შოთასებურად.

ვიტყვი, წარსულსაც სიცოცხლე ჰქვია და მომავალსაც არა აქვს ბოლო, და დარწმუნდები ადრე თუ გვიან, – რომ ხე ფესვიდან იწყება მხოლოდ.

ტრადიციის მავინებელს

მთელი მსოფლიო იცნობს ჩვენს მოდგმას, პატივსაც სცემენ დიდ ტრადიციას; სტუმართ-მოყვრობა ოდითგან მოგვედგამს და ამის ფასიც კარგად იციან. ყველაფერ უცხო ასდევნებიხარ და ამ ბაცილას ქვეყანას მოსდებ და ქართულ სუფრას – „აკადემიას“ ურცხვად ადარებ „ცისფრების“ ბორდელს. ღმერთმა გაცილოს შენ ქართულ ქეიფს, – აქ შენნაირებს სუფრა ვერ იტანს; ვაი შენს პატრონს, მაგ თახსირ „გეის“, რა კავშირი აქვს ქართულ ქეიფთან?! და მომავალში უღირსი თავი თუ შენნაირმა წამოჰყვოს ერთმაც, ქართველ ერს (უნდა ვთქვა სიტყვა ავი) – ნუ გაუზარდოს გამჩენმა ღმერთმა!

სხვა რას დაგეძებს

„ვინ, ვინ შევინდობს, ანდა რატომ უნდა შევინდოს, – ერთი მითხარი!“

მუხრან მაჭავარიანი

ჯერ კიდევ ჩემი ცის ქვეშ ვარ, ფიქრით მივყვები ტყის პირებს, ფიქრით, რომელიც მგონია, უცხო ნალექებს მიპირებს. ვინ ჰკითხავს, გზაზე მივდივარ, – სწორად თუ „მივიჯორჯები“, რას მკარნახობენ მე ჭკუას გადამთიელი ჯორჯები. მინის კაცს, შრომა მინაზე სხვამ რატომ უნდა მასწავლოს?! დედა მითხრა ვანია, ახლა რიჩარდმა მანვალოს?! ეროვნება ხომ წამართვეს და მშობელ მამის ხსენება, გვარს წამართმევენ ანი და, – აღწევენ რაიც ენებათ. „კოკა-კოლა“ და „სპრაიტი“ ვინ გამირია კახურში, ქართულ სიმღერას მიხშობენ ჯუნგლის ტამტამა ბრაზუნში. ცრემლების წვიმა მასველებს უქუხილოდ და უელვოდ; ვაიმე, უკვე მტოვებენ უმამულოდ და უენოდ. მაგრამ შინაურს რა ვუყო, ჭკნობა დაინყო მუხხარმა, სხვა რას დაგეძებს, თუ ძმა ხარ, – როგორცა ბრძანა მუხრანმა.

ბიჭა აბოილაძე

ბავშვობიდან მოვდივარ და...

ბავშვობიდან მოვდივარ და ბავშვობიდან მოვქსოვ ფიქრებს... ვკოცნი, – შოთას ნატერფალი გულზე ხატად დავიკიდე. ეხ, ქართველო! ეს რა ჰქენი, ქართველობა დაივიწყე?! რაც ვითხოვე – სულთა მზეა, ვეფხის ტყავზე ოქრო ვკინძე. ორღობეზე ყველაფერი ძველმანით გადავიკიდე.

ქართველებო!

მე თუ არა, შოთას მაინც დაეხმარეთ, ქართველებო! ცად ჩამოვსვათ სიყვარული, ვეფხისტყავი გავამეფოდ!

შეგვიძლია ქართველებმა მსოფლიო რომ გავაოცოთ, მოქარგული „ტყაოსანი“ უფალო რომ დავგილოცოს.

უფალო!

ვეფხისტყავზე ოცნებათა შოთას ნაფეხურებს ვკოცნი... ფიქრი სანამ ჩემთანაა ნატერის ისრებს კოსმოსს ვტყორცნი...

დამესიზმრა:



ნასვლა მსურდა კოსმოსში და ვიზას ვთხოვდი.

მაია სოფერია

ქალი?! მომწონს ქალი, გარიჟრაჟზე გაღვიძებულს შიშველ მკერდზე რომ ატყვია ვნების კვალი... ქალი თეთრი, შლილი თმებით, მხატვრის ფუნჯით დახატული, სულში მზით და გაზაფხულით, სიყვარულით გათანგული... კაბა ეცვას, შავი, მოკლე, მიუნდომლის ფერი ჰქონდეს, დაგვას მისმა სურვილმა და ოცნებებში ცაში ქროდე... ქალი მომწონს მთვარეული, თავნება და არეული, მარტის ჰქონდეს ხასიათი, იყოს ცოტა აზიატი... სიყვარულში გაინროს, ზოგჯერ მწარედ გაიღიმოს, მერე ლექსად გადაიქცეს, და ღრუბლებთან დაიძინოს... ქალი მომწონს სევდის ფერი, გაგლეჯილ გულს მალავს ხელით, ქალს უხდება ქალობა და მოკლე კაბა შავი ფერის...

მომწონს კაცი, გარიჟრაჟზე გაღვიძებულს, სურვილები რომ გადარევეს, ქალს სათუთად ჩაიკრავს და ვარსკვლავებით მოატარებს... მაღალი და მხრებგაშლილი, სადღაც ომებგადახდილი, დადიოდეს სიყვარულით, ანუხებდეს სინანული, გაბანაოს ღრუბლებში და, დაინვას და დაიხარჯოს, ტკივილისგან დაგიფაროს, შენში ვნებად დაიფანტოს... აზვირთებულ ტალღას ჰგავდეს, ნაგლეკოს და დაგამსხვრიოს, მერე ხელში აგიტაცოს და ფერებით დაგაბნოს... კაცი მომწონს სევდის ფერი, გაყოფილ გულს მალავს ხელით, კაცს უხდება კაცობა და მაუხერი შავი ფერის...

ნანვიმარზე ცისარტყელა დაიხატა, პარკში გოგო ბიჭის კოცნით გაითანგა, ალუბლებზე წვიმის წვეთი დაიფანტა, მონატრება სადღაც ჩუმად დაილანდა... დარბაზში კი დაიღვარა პოეზია, ვიოლინოს ჰანგებს კენესა დასცდენით, ხელში თრთოდა სტრიქონები ბოლო ლექსის,

კაბა მუხლებს სიყვარულით ასცდენია. ჩადგა ქარი, გადაიღებს წვიმაც მალე, ოცნებებით შემოვიღებ ისევ კარებს, გაგახსენებ პოეზიის შეშლილ დამეს, –

ახალ ლექსებს მოვუყვები სულელ მთვარეს...

ნანვიმარზე ცისარტყელა დაიხატა, ალუბლებზე წვიმის წვეთი დაიფანტა.

ოდის ჩრდილში მცხუნვარე მზეს დავემალე, პეშვით წყაროს ანკარა წყალს დავენაფე, ლელვის ტოტზე გულწითელა ჩიტი გალობს, ხშირად რომ ვერ ჩამოვდივარ, როგორ ვნანობ... ორღობეში წვერცანცარა თეთრი თხები ეკალობარდის მწვანე ღობეს ახტებიან,

მანანა ჩიტიშვილის მონატრება

(ცხინვალის ტრაგედიის შემდეგ)

ახლა სადა ხარ, პოეტო ქალო, როგორ იშუშებ გულზე იარებს, როცა შენს ქსანზე მოყვარე მტრისგან ბოლმის ქარებმა გადაიარეს? ახლა, ამ მთებზე სხვა ქარნი ქარობს, ცაც აღარ მოჩანს ლურჯი, უძირო, ახლა სადა ხარ, პოეტო ქალო, რომ ლექსით დუშმანს დედა უტირო!

ლია ჭყონია

ოქროსციხე

ოქროსციხე! – ყრმობის ციხე, მონატრება გვიანო, მზიან კალთებს შორით გირხე, მინდა შემეხმინო.

ჰაერში კი რძის სურნელი ტრიალებს და მოწვევით დიდ ვედროში ქაფდებიან. როგორ მიყვარს ჩემი სოფლის შარა-გზები, წაბლის ხეებს ეკლიანი ბურთები აქვთ, ფეხშიშველი გადავიბრუნე მწვანე მინდორს, სოფლის პურსაც სხვა გემო და სურნელი აქვს... ჩემი მამის, პაპისეულ ოდა-სახლში, წაბლის კედლებს ბევრი სევდა დარჩენიათ,



ბზეს, პალმებს და კამელიას ნითელ ყვავილს დიდება და სიყვარული ამჩნევია... აივანზე ვზივარ მარტო და დარდს ვებრძვი, დედის აჩრდილს და ძველ კაბას ვეფერები, თითქოს ვუძღებ, ნუნუნნი ხომ არ მჩვევია, მაგრამ სულში ტკივილები მაჩნევია...

უხანგი ჯანბირაშვილი

ჯარჯის მონოლოგი მანანა ჩიტიშვილთან

„ცხრაჯერ ჩავშალე ნანწავი, ერთხელ არავინ ამამყვა“.

„წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა კლდეზე გადიღეს გრილი“.

ხალხური

ცხრა მთა-კლდე გადმოვიარე, შენს კოშკთან დავდექ ამამყად, ცხრაჯერ ჩამოშლილ ნანწავებს ცხრაჯერე ნატვრა ამამყვა! ცხრავ ცდაზე ნანწავთ წვედენამდე მხოლოდ ცხრა გოჯი დამაკლდა; ვერ შევძელ ძვლებდალენილმა, ეს თეთრმა შუნმა დამმართა! ჩავეყვ ჯიხვების ხორონსა, წრიაპს ცხრა პირი ვუცვალე, მეცხრეზე მოვწყდი კლდის ქიმსა, ძირს ძვლებად ჩამოვიშალე. და ის, რაც გაკრთა ოცნებით: – კოშკი, შენ, შენი ნანწავი, სიკვდილისანინა ლოცვებში გაგძღვდა მხოლოდ ცხრა წამი. არა სთქვამს, – მოყმე არა სჩანს, ნანწავის ამომყოლიო, ჯერ ჩემებრ მართებთ ვაჟკაცთა, კლდეებთან ცხრაჯერ ომიო!

გულის სიტყვა ამიმღერო, ხედა ამიამყასო, შენეული ჭინჭრის ღერო ავ თვალს ნესტრად დავასო. დილდობობით მაცქერინო კლდეში დევთა ქეიფი, მერე გულზე მაფენინო ქვაბლიანას შლიეფი. ფიქრთან როცა მნახავ მარტოს, – გზა მზის კიბედ დაყავი, ცის გუმბათს რომ მივხატო დედა - მზეთუნახავი. საიდუმლო დაფარული ვარსკვლავთ გავათქმევინო, მერე მათი სიყვარულის წვეთი დამალევიწი. შენს ბეჭებზე ჩემი ჩრდილი მზის გულისკენ მენევა, ქარის ფრთაში გამოფსკენილი ნატვრის ქისაც მენევა. თუმც რაღა დროს ჩამიქროლოს, დააპუროს სხვა თვალი, საფიქრალი დამრჩეს ბოლოს თითზე ჩამონათვალი. რაც რომ იყო, ზღაპარიყო, იხმაურა, წავიდა, ოღონდ შენი თვალი იყოს ყველგან – ზღაპრის თავიდან. სახელებს რომ გულზე მჭრიდი, შენ უწყლი – ვის, როდის, მერტყა შენი ტყვიის მჭიდი და მათ ხსნის ნილ ვისროდი. დრომად ქროდა ნისლიც შენი ჟამთა მრავალმხილველი, ქედზე ვეფხის ტყავის მფენი, მეციხოვნე პირველი. ოქროსციხე! – თვალისწყაროვ, დედაციხე რწმენისა, ბალავარი მხოლოდ შენ ხარ ჩემი გადარჩენისა!

როლანდ თოფჩიშვილი

(გაგრძელება. დასაწყისი. N11)

ლექსის (ლექსუს) საზოგადოების სოფელ შალოშეთში ცხოვრობდნენ როგორც ქართველი მართლმადიდებლები, ისე ქართველი მამამდიანები, რომელთა საოჯახო ენაც თურქული გახლდათ. ქართველებიდან აქ მელიქიძეების 12 კომლი და ნადირაძეების 3 კომლი ცხოვრობდა. მელიქიძე ქართველ მამამდიანთა შორისაცაა აღრიცხული: „არიფე ალი ოღლი ალი-კო ოღლი მელიქიძე“. მამამდიანთა ქართული გვარებიდან უნდა დავასახელოთ: ზურაბაძეები, თუთაძეები, მამიქიძეები, ვეფხიძეები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1851, გვ. 107-125). სოფელ ხუროში ასევე ქართველებად იყვნენ დაფიქსირებული ბერძენული (2 კომლი, 11 სული), თუმცა, საოჯახო ენად მათ თურქული ჰქონდათ. 1886 წლის საოჯახო სიგეზი ანკურის სასოფლო საზოგადოების სოფელ აგარაში სულ სამი კომლი მამამდიანი ცხოვრობდა, რომლებსაც ეთნიკური გრაფაში ქართველი აქვთ მინერლი, ხოლო ენის გრაფის გასწვრივ – „თურქული“ აქვთ დაფიქსირებული, თუმცა, როგორც ირკვევა, სინამდვილეში, სხვაგვარ ენობრივ მოვლენასთან გვეკონდა საქმე: „აგარაში 25 კომლია: გვარაძე, ტულუშაძე, კოტაძე, ქართველი მამამდიანები. ქართულს ყველა კარგად ლაპარაკობს“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 38]. 1944 წლის ოფიციალური მონაცემებით სოფელ კლდეში მცხოვრები მამამდიანების გვარები იყო: ტულუშაძე, ფერაძე, ხეირაძე, გოგოლაძე, ბებუნაძე, ათიძე, კოტაძე, ხახუტაძე, გვარაძე, ნადირაძე, ქორაძე, ზილოძე, ჩიტაძე [საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 57].

ვარხანის საზოგადოების სოფელ ნახანში მოსახლეობის უმრავლესობა ყოველმხრივ თურქადაა ჩანერილი, მაგრამ 4 კომლი თურქულენოვანი ქართველი იყო: „იბრაჰიმ უსეინ ოღლი ხუჯიევი“, „დურახ ასან ოღლი მალალოვი“ „სულეიმან ალა ბაქრაძე“, „მადად ალა ბაქრაძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1854, გვ. 12, 19, 30, 35). ეს უკანასკნელი 1863 წლის აღწერის დავთარშიც არის შეტანილი: „მადად ალა აბდურახმან ალა ზადე ბაქრაძე“ (სცსსა, ფ. 254, ა.2, საქ. N345, გვ. 174). გ. ბოჭორიძის მოპოვებული მასალებით, ნახანის წყაროს ... არის გვარი სარალოძე.“ „ნახანში არის 240 კომლი: ციციშვილი, ფეიზიშვილი, ნაფთაშვილი, ხუციშვილი, ჭიჭინაძე. ქართული თითო-ორილამ იცის“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 127].

ანკურის საზოგადოებას მიეკუთვნებოდა სოფელი მერე ნინუბანი (65 კომლი, 566 სული). ამ სოფლის მკვიდრ ქართველ მამამდიანებს ქართული ენა დაკარგული ჰქონდათ და ისინი თურქულ ენაზე ლაპარაკობდნენ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1855, გვ. 11-33). ნინუბანის მკვიდრად გ. ბოჭორიძე ასახელებს „აზიზ ოსმან-ოღლი თოფალოძეს“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 38]. „ნინუბანში კომპი ყოფილა სულეიმან დადაძის და მისი მეზობლის ჩახალაი ტოტორაძის სახლების უკან“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 44]. გ. კორვალიძის 1944 წლის ოფიციალური წერილიდან ირკვევა, რომ ტოტორაძის გვარის ქართული ფორმა თოთორაძე. ამას გარდა, აღნიშნულ დოკუმენტში დასახელებულია ქართველ მამამდიანთა შემდეგი გვარები: კუკუაძე, ზილოძე, ჩილაკიძე, თორაძე, ჯაფარიძე, ჭელიძე, ტოსაძე, უჩაძე, გორაძე, მამუკაძე [საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 57]. ნინამდებარე ნაშრომის ავტორთან ინახება სოფელ ნინუბანიდან გასახლებულთა შთამომავლების მამოთმედ მეტბალის ძე ჩახალაოვის, რაჯაბ მიაღინის ძე და შარაფ მიაღინის ძე პუსტინოვების და ბასხადორ სალიმოვის ძე ბახშიევის განცხადებები, რომლებიც დაწერილია 1993 წლის 25 აპრილს საქართველოს მაშინდელი ხელისუფლების ერთ-ერთი ნაწილმადგენლის ჯ. იოსელიანის სახელზე. ისინი ხელისუფალს სთხოვენ ნინუბანის ქართული გვარისა და ეროვნების დაბრუნებას. პირველი მათგანის ქართული გვარი ყოფილა ტოტორაძე, მეორისა და მესამის – კილაძე, მეოთხისა – ჩილაკიძე. განცხადებებს აწერია ჯ. იოსელიანის რეზოლუცია:

„მესხების შემსწავლელი კომისიის თავჯდომარეს – ბატონ გურამ მამულაიას – გთხოვთ დაეხმარეთ და მუამდგომლობა გაუწიოთ შინაგან საქმეთა სამინისტროში. 17. 05. 93.“ 1944 წლის ოფიციალური დოკუმენტით სოფელ ნინუბანში მართლაც ცხოვრობდნენ ტოტორაძეები თოთორაძეები და ჩილაკიძეები ჩილაკიძეები. აღნიშნულის აქ ნარმოდგენა კიდევ უფრო იმიტომ მივიჩინეთ საჭიროდ, რომ საბჭოთა პერიოდშიც ხდებოდა მამამდიან ქართველთათვის ქართული გვარების შეცვლა. გ. ბოჭორიძეს ნინუბანში მოსახლეობის შესახებ ჩახალაი ტოტორაძის შთამომავლებისათვის მისი სახელი ახალი გვარის ფუძედ გამოუყენებია – ჩახალაოვი.

ანალოგიური ვითარება გვეკონდა ანკურის საზოგადოების სოფელ ნრიოხშიც (51 კომლი, 349 სული) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N185, გვ. 35-51). 1932 წლისთვის ნრიოხში შემდეგი ვითარება გვეკონდა: „სოფლის ჩრდილოეთით, ზევით ხეობაში, არის ბესალთავის დიდი ციხე. აქ არიან ქართველი მამამდიანები 60 კომლი; ქართულს ცოტ-ცოტას ჰაბარებენ ლაპარაკობენ“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 34]. ირკვევა, რომ სოფელ ნრიოხის ქართველ მამამდიანთა გვარები იყო: გურგენიძე, მალრაძე და მახიაძე [საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 56].

სოფელ ჭარალში თურქულენოვანი ქართველი მამამდიანები მკვიდრობდნენ: „ოსმან ბეკ ალი ბეკ ზადე ავალოვი“, „ომარ ბეკ ალი ბეკ ზადე ავალოვი“, „ნაიბ ბეკ არიფ ბეკ ავალოვი“, „ჯამალ ბეკ არიფ ზადე ავალოვი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1856, გვ. 156). მომდევნო ორ სოფელშიც, რომელსაც შევეხებით, თავადები ცხოვრობდნენ. ვარხანის სასოფლო საზოგადოების სოფელ შალოშეთის (2 კომლი, 18 სული) მკვიდრნი იყვნენ: „საბიტ ბეკ იუსუფ ბეკ ზადე სანიკოძე“, „ასლან ბეკ იზატ ბეკ ზადე სანიკოძე“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1856, გვ. 203-204). ლეხისის საზოგადოების სოფელ შალოშეთში კი აღრიცხულნი იყვნენ: „სულეიმან ბეკ მუამედ ბეკ ზადე მარაბელი“, „აიბინ ბეკ ვახი ბეკ ზადე მარაბელი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1856, გვ. 207-208). ორივე ამ სოფლის მკვიდრნიც თურქულენოვანი ქართველ მამამდიანებად არიან ნარმოდგენილი. სანიკიძეებსა და მარაბელებს ოდინდელი სოციალური სტატუსი შენარჩუნებული ჰქონდათ – ისინი ბეგები იყვნენ. იგივე შეიძლება ითქვას ზემოთ ნახსენებ მოსთოვებზე (ადიგენი), ზემო ობორელ ავალოვებზე, გიორგიშინდაძეებზე (სოფელი გიორგიშინდაძე), ამილახურებზე (სოფელი ზახალი), ლორთქიფანიძეებზე (სოფელი ლელოვანი), თულავეებზე (4 კომლი, სოფელი ტოლოში), ხერხეულიძეებზე (სოფელი ხურო), ფალავანდოვებზე (4 კომლი, ახალქალაქის მაზრის სოფელი დიდი ხოსპი). ამ სოფელში ცხოვრობდნენ აგრეთვე ჯონჯოლაძეები და თულიძეები, აბაშიძეებზე (7 კომლი, ახალქალაქის მაზრის სოფელი თოკი), ხურთაძეები ვარხანაძეებზე (4 კომლი), კუჭიაძეებზე (3 კომლი) და კომურაძეებზე.

კლდის საზოგადოების სოფელ ბოვას (22 კომლი, 186 სული) მკვიდრებს 1886 წლის საოჯახო სიგეზში „ნაროდნოსტის“ გრაფაში ქართველი აქვთ მინერლი, მაგრამ ენის გრაფაში – „თურქული“. ოდობით ჩანერილებში ქართული გვარებიც გვხვდება: ჩამაქიძე (3 კომლი), მეცხვარიშვილი და ცეკვიშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1839, გვ. 1-14). ანალოგიური ვითარება დაფიქსირებული 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარშიც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ცეკვიშვილის ნაცვლად ამ დავთარში „ცერკვაშვილი“ წერია და მეცხვარიშვილის ნაცვლად – მეცხვარიშვილი. ერთი კომლი თუ ჩამაქიძის გვარითაა დავთარში შეტანილი, მეორე – „ჩამაქიძე-ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N282, გვ. 296-300). გ. კორვალიძის მონაცემებს გარკვეული სიზუსტე შეაქვს. ირკვევა, რომ ჩამაქიძეები სინამდვილეში ჩომხიძეები იყვნენ. მასვე ცეკვიშვილები და მეცხვარიშვილები ცეკვაძისა და მეცხვარიშვილის ფორმით აქვს შეტანილი. გარდა ამისა, ბოვას მკვიდრი მამამდიანი ქართველების გვარები იყო, აგრეთვე: სარაბიძე, ზაუტაძე, ჩიხლაძე, ლოლაძე, კიჭოშვილი, ტორულაძე [საბჭოთა სამართალი. 1989. N7, გვ. 57].

უდეს სასოფლო საზოგადოების სოფელ ზახალოში ფიქსირებულია ოთხი კომლი ქართველი მამამდიანი, რომელთა საოჯახო სამეტყველო ენა თურქული იყო; ესენი იყვნენ: „ასოლტ

ბეკ სულეიმან ბეკ ზადე ამილახვარი“, „ტსიფურ ბეკ დურსუნ ბეკ ზადე ამილახვარი“, „ტიარ ბეკ დადი ბეკ ზადე ამილახვარი“, „მახმუდ ბეკ დადი ბეკ ზადე ამილახვარი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1842, გვ. 221-224). უდეს საზოგადოების სოფელ კახარეთში 4 კომლი (21 სული) მკვიდრობდა. ისინი ქართველებად იყვნენ აღრიცხულნი, მაგრამ საოჯახო სამეტყველო ენა თურქული ჰქონდათ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1843, გვ. 162-163). უდესავე საზოგადოების სოფელ ლელოვანის მოსახლეობა თათრებად იყო ჩანერილი, ენაც თურქული ჰქონდათ, მაგრამ ერთ-ერთი ოჯახი ქართული გვარით არის ნარმოდგენილი: „ასან ოსმან ოღლი ლორთქიფანიძე“ (სცსსა,



ფ. 254, ან. 3, საქ. N1844, გვ. 1-14). გარდა ლორთქიფანიძეებისა, რომლებიც აქ 1932 წელს შვიდი კომლი ყოფილან, სოფლის ქართველ მამამდიანთა გვარები იყო აგრეთვე: ზამუქაშვილი – 10 კომლი, ცენტრაძე – 15 კომლი, კოკობაშვილი – 10 კომლი [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 78]. მამამდიანი ქართველები ცხოვრობდნენ იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფელ ქვემო ობორაში (56 კომლი, 580 სული). მართალია ქვემო ობორაში საოჯახო ენა თურქული იყო, მაგრამ თითქმის ყველა მათგანი ქართული გვარითაა ნარმოდგენილი; ეს გვარებია: ბაჯაჯიშვილი (3 კომლი), ზოდოშვილი (2 კომლი), ჭუჭულაშვილი (5 კომლი), ლეკოშვილი (3 კომლი), სარაჯიშვილი (3 კომლი), ფეროშვილი (2 კომლი), გოგადარაშვილი, თემოშვილი, თოფალოშვილი, ხოკიშვილი, მულიშვილი, დინიშვილი, ბახუტაშვილი, ლალიაშვილი („ალი ლომა ოღლი, იგივე ჰუსეინ ოღლი“ – ოჯახი ამკარად ახალი გამამდიანებული იყო, რადგან აღის მამას ჰუსეინს გამამდიანებამდე ლომა რქეჭვია) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1846, გვ. 64-98). ანალოგიური ვითარება არსებობდა ზემო ობორაშიც (83 კომლი, 743 სული). ზემო ობორელთა მხოლოდ რამდენიმე ქართველ გვარს ჩამოვთვლით: ლეკოშვილი (2 კომლი), შარჩელიშვილი (?), თეთრშვილი (3 კომლი), ჩჩოშვილი (9 კომლი), ნახიაშვილი (4 კომლი), გონიაშვილი (2 კომლი), ზანდარაშვილი (2 კომლი), ტოროლიშვილი (2 კომლი), მამნიაშვილი, ნადინაშვილი... დავთრის მიხედვით, ზემო ობორაში ოჯახის უფროსები იყვნენ: „ისმაილ გონია ოღლი, იგივე მირზა ოღლი“, „აკულ ახმად-ოსმან ოღლი იგივე ტატო ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1846, გვ. 30-69). ზემო ობორის ზემოთ ნახსენებ მამამდიან ქართველთა ზოგიერთ ქართულ გვარს, გ. ბოჭორიძეც მითითებს, კერძოდ, ლეკოშვილებს, ზანდარაშვილებსა და თეთრაძეებს. ამ სოფელში სხვა გვარებსაც ჩამოვთვლით: „ხუციშვილი სიფო ისმაილის ძე“, ბეჭეროვი, ლონიაძე (მდრ.: აღწერის დავთარში მოხსენიებულ გონიაშვილს – რ. თ.), ტაბაძე (ტაბაშვილი), კუჭიაძე, ისპირიანი, თამაზიანი, პანაკიანი [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 29]. 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარში ვალუში 52 კომლი თათარია დაფიქსირებულია, რომელთა შორისაც გვხვდებიან: „ობრაგიმ დადი ბიჭო ოღლი“, „ალი აზია გიქოშვილი“, „მადათ იუსუფ ჭი-

ლო ოღლი“, „კახო-ოღლი“, „მურად კობლა მამად ოღლი“, „ალი ლომინ-ოღლი“, „ალი ბერო-ოღლი“, „შირო კობლა-ოღლი“, „რუსუნ პოლ-ახმედ თვალ-პატარა ოღლი“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N282, გვ. 356-382).

1886 წლის ახალციხის მაზრის მთელი რიგი სოფლების მკვიდრნი, მართალია, თათრებად არიან ჩანერილი და საოჯახო ენის გასწვრივაც თურქული ენა აქვთ მითითებული, მაგრამ ამკარად ჩანს, რომ ისინიც გამამდიანებული-გათურქებული ქართველები არიან. მაგალითად, შეიძლება რამდენიმე სოფელი დავასახელოთ. ვარხანის სასოფლო საზოგადოებაში შედიოდა სოფელი აბას-თუმანი (73 კომლი, 490 სული). ამ

თველი მამამდიანი ცხოვრობს. ენა აღარ იცინა“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 57]. თათრებად იყო აღრიცხული უდეს საზოგადოების სოფელ იჯარეთის მოსახლეობაც (15 ოჯახი). გ. ბოჭორიძე კი ამ სოფლის შესახებ შემდეგს წერს: „იჯარეთი. 55 კომლი. ქართველ მამამდიანთა გვარები: სარაჯიშვილი – 20 კომლი, ხდაშვილი 7 კომლი, კორკობაშვილი 15 კომლი, ადამაშვილი 3 კომლი, ბისიგაშვილი 1 კომლი. ქართველმა მამამდიანებმა ქართული არ იცინა“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 18]. 1886 წლის საოჯახო სიგეზით თათრები ცხოვრობდნენ ურაველის საზოგადოების სოფელ ლობიეთში (15 კომლი)

სოფელში მხოლოდ ერთი კომლი იყო ქართველი, გვარად ჩალიძე, დანარჩენი თათრებში გამოიყოფიან: „ყურბან ჩინ ოღლი გურულ ოღლი“, „შაქირ ალი ოღლი გურულ ოღლი“, „უსეინ ალი ოღლი გურულ ოღლი“, „დურსუნ მუსტაფა ოღლი გურულ ოღლი“. ამას გარდა, თათრად ჩანერილთაგან ორი კომლი გვარად ლორთქიფანიძეა. კიდევ შეიძლება დავასახელოთ: დედობ-ლოშვილები (4 კომლი), კახაშვილები, კატალაშვილები (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1836, გვ. 214-233). 1886 წლის საოჯახო სიგეზი ყოველმხრივ თურქებად არიან ჩანერილი იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფელ ყამ-ზას მკვიდრნი (20 კომლი, 279 სული), მაგრამ მათ ქართულ ნარმომავლობას ქართული გვარები მითითებს: ჩოჩოშვილი, იბოშვილი, ჩჩელაშვილი (8 კომლი), ჯაკაშვილი, ტოპალიშვილი, გორიაშვილი (3 კომლი), კუჭმაშვილი (2 კომლი), გონიაშვილი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1843, გვ. 85-102). გ. ბოჭორიძის 1932 წლის ჩანაწერს ერთგვარი სიზუსტე შეაქვს ყამზის მოსახლეობის ქართული ნარმომავლობისა და გვარების შესახებ. როგორც ირკვევა, 1886 წლის საოჯახო სიგეზში გონიაშვილები გორიაშვილები იყვნენ, ჩჩელაშვილები – ჩაჩოძე, გონიაშვილები – გონიაძეები. მეცნიერს აქ სხვა გვარებიც დაუდასტურებია: „ყამზაში არიან ქართველი მამამდიანები. ისევ მშვენიერად ლაპარაკობენ ქართულს. ერთი გზაში მხმვდა – გორიაძე, მეორე ხევი – მახარაძე. აქ ყოფილან გვარები: მახარაძე – 20 კომლი, ცუ-ლუკიძე – 10 კომლი, გორიაძე, ორიაძე (უნდა იყოს – გორიაძე – რ. თ.), ჭეჭელაძე, ჩაჩოძე“ [გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 18]. გ. ბოჭორიძეს ყამზას შესახებ 1886 წლის საოჯახო სიგეზისაგან განსხვავებით, სხვაგვარი ენობრივი ვითარება აქვს დაფიქსირებული. დავთარში ისინი თათრებად და თურქულ ენაზე მოსაუბრეებად ყავს ჩანერილი, იმ დროს, როდესაც მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ყამზას მოსახლეობა ქართულად მშვენიერად ლაპარაკობდნენ. აღწერის დავთრით, მათ ქართველობას ქართული გვარ-სახელებიც ადასტურებს. ოცივე კომლი ქართული გვარებითაა დავთარში შეყვანილი. ვალეს საზოგადოების სოფელ ინჯგოლაში 1886 წელს 5 კომლი ცხოვრობდა. ისინი თათრებად არიან დაფიქსირებული, თუმცა რეალურად სხვა ვითარება გვეკონდა: „სოფელ ინჯგოლაში 15 კომლი ქარ-

(სცსსა ფონდი 254, ან. 3, საქ. N1840, გვ. 126), თუმცა ამ სოფელში მე-19 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში იყო ფრანგი დიპლუმატი მონპერე, რომელიც წერს: „ჩამოვიარეთ ლობიეთში. აქ სულ ქართველი მამამდიანები ცხოვრობდნენ. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად, თუმცა ესმით თურქულიც. ესენი არიან ძველი სამცხე-საათაბაგოს შთამომავალნი... მე ამ ძველ ქართველებს შევნიშნე ისეთივე სახე და შეხედულემა, როგორც იმერლებსა და ქართველებს. ... მივიღეს ძალიან კარგად, მეგობრულად დაგვეცეს ცეცხლის პირას, დაგვანერეს მშვენიერად. აქ იმერული სტუმართმოყვარეობაა, რომელიც ითვლება ცხოვრების დიდ ხელოვნებად. საოცარია, რომ აქ თურქული უღლის მიუხედავად, მაინც არ დაკარგულა ქართველთა მისწრაფი ზეგნულად... გავიარეთ ახაშენზე, რომელიც ასეთივე გამამდიანებული ქართული სოფელია და ლაპარაკობენ მხოლოდ ქართულად“ [ციტირებულია შ. ლომიძის ნიშნებიდან: „სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე). თბ. 1975, გვ. 305]. დიპლუმატი მონპერეს ლობიეთსა და ახაშენში სტუმრობიდან 1886 წლის საოჯახო სიგეზის შედგენამდე, სულ 50-იოდ წლის შემდეგ, ორივე სოფელში უკვე სრულიად განსხვავებული ეთნიკური და ენობრივი ვითარება გვაქვს. ლობიეთის მკვიდრთა ანალოგიურად, ახაშენელებიც თათრებად იყვნენ ჩანერილები და მათი საოჯახო სამეტყველო ენაც თურქული იყო (28 კომლი) (სცსსა ფონდი 254, ან. 3, საქ. N1838, გვ. 103). „მხოლოდ ქართული“ ორ თაობამ დაივიწყეს ქართველმა მამამდიანებმა. საყოველთაოდ ცნობილია, ასიმილაციური პროცესების მიმდინარეობისა მშობლიური ენა სულ რაღაც ორ-სამ თაობაში ეძლევა დავიწყებას.

1886 წლის საოჯახო სიგეზი ახალციხის მაზრაში გამამდიანებული ქართველები 67 სოფელში მკვიდრობდნენ და მხოლოდ 16 სოფელში ცხოვრობდა ორიენტი (ქართული და თურქული ენები) მოსახლეობა. როგორც ზემოთაც აღინიშნა, ორიენტი იყო ადიგენის სასოფლო საზოგადოების სოფელ გორთუბანში მცხოვრები 33 კომლი (240 სული) ქართველი მამამდიანი. ასეთივე ვითარება დაფიქსირებულია სოფელ გიორგიშინდაში (კლდის სასოფლო საზოგადოება). მართალია აღწერებს აქ ქართული გვარები



მაჰმადიანი მესხების არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „ვათანის“ საქმიანობა და მისი უწყვეტად არაერთგვაროვანია, მოსაზრებები - განსხვავებულია. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ მისი ორგანიზაციების სიმრავლეს სხვადასხვა ქვეყანაში, ასევე რეგიონულ ოფისებს რუსეთის ფედერაციის შიგნით.

ჩვენს წინა წერილში მაჰმადიანი მესხების არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია „ვათანის“ მე-5 ყრილობას უკვე შევხვებო, მხოლოდ განსხვავებული კუთხით. ყრილობა საინტერესო აღმოჩნდა კიდევ ერთი თვალსაზრისით. ის გაიმართა ნოემბერში, სულ რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი რეპატრაციის შესახებ (2007 წლის 11 ივნისი). „ვათანის“ წევრები ყრილობაზე ღიად აფიქსირებენ პოზიციებს კანონთან დაკავშირებით. მოსაზრებები ძირითადად მსგავსია, უბრალოდ, ზოგი ამას შედარებით რადიკალურად აფიქსირებს, ზოგი ნაკლებად. ჩვენთვის ხელმისაწვდომია „ვათანის“ წარმომადგენელთა შეხვედრები, რომლებიც მედიასაშუალებების მეშვეობით მიწოდებოდა საზოგადოებას, მაგრამ უპირატესობა სწორედ მე-5 ყრილობის ოქმს მივანიჭებთ, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს, რომლის სანდოობა ეჭვს არ იწვევს და რომელიც თავად ორგანიზაციის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული.

ვფიქრობთ, რადიკალური იყო მოსკოვის უფლებამძღველ ცენტრ „მემორიალის“ წარმომადგენლის ალექსანდრე ოსიპოვის თვალსაზრისი. მან კიდევ ერთხელ გაიხსენა 1999 წელს საქართველოს მიერ ევროსაბჭოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებები რეპატრაციის შესახებ კანონის მიღებასთან დაკავშირებით, მათ შორის საქართველოს ვალდებულება კანონის მიღებიდან 12 წლის განმავლობაში რეპატრაციის პროცესის დასრულების თაობაზე. უფლებამძღველი ფიქრობს, რომ კანონის მიღება არ ნიშნავს დაპირებების შესრულებას, რადგან კანონი არ ქმნის არანაირ პირობას დაბრუნების შესახებ: „კანონი მიიღეს დაჩქარებულად და მას არ გააჩნია არანაირი დადებითი მხარე. ვერ ვხედავ, რომ კანონში იყოს სიტყვა „რეაბილიტაცია“ და განისაზღვროს კონკრეტული რამეები ხალხები ექვემდებარება რეპატრაციას. როგორია რეპატრაციის სტატუსი, რა უფლებები და მოვალეობები აქვს მას“. ოსიპოვი ჯერ კიდევ 1999 წლიდან შემუშავებულ კანონპროექტებს მიზნობრივად გართულებულად მიიჩნევს, რადგან მსურველებს გაუჩნდეთ ბევრი ბიუროკრატიული დაბრკოლება, ხოლო სახელმწიფოს - ყველა ბერკეტი იმისათვის, რომ რაც შეიძლება მცირე ვალდებულებები იტვირთოს. უსუსურობა თავის გამოხატვაში საკმაოდ მორსაც წავიდა და საქართველო დააანამაშულა თვით იმ საერთაშორისო ორგანიზაციების (ევროსაბჭო, ეუთო, არასამთავრობო სექტორი) რეკომენდაციებისა და კრიტიკის უგულვებელყოფაში, რომლებიც საქართველოს უწყვეტნი იურიდიულ კონსულტაციებს კანონის შემუშავებისას. კანონი დაახასიათა როგორც უამრავი ხელოვნური დაბრკოლების შემქმნელი მექანიზმი. რაც ყველაზე უცნაურია, ალექსანდრე უსუსურობა გაიკვირვა, ვფიქრობთ, ნებისმიერი თავმოყვარე სახელმწიფოს მხრიდან ძალიან ბუნებრივი დამოკიდებულება თავისი მოქალაქისადმი თუ მოქალაქეობის მსურველისადმი. მომხსენებელმა აღნიშნა: „რაც კიდევ უფრო მთავარია, სახელმწიფოს აქვს მინიჭებული სრული უფლება, თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა პრეტენდენტის განცხადება, მიანიჭოს თუ არა მას სტატუსი... ადამიანებს სთავაზობენ, მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც განაპირობებს მთელ მათ შემდეგ ცხოვრებას ისე, რომ ვერ ფლობენ საჭირო ინფორმაციას, თან ძალიან შეჭვივრულად ვადავებო - მხოლოდ 2008 წლის განმავლობაში. ასეთი სქემის მიღების მიზანი ნათელია - შემცირდეს განმცხადებლების რიცხვი და შეიქმნას შესაძლებლობა უარის სათქმელად. ანუ, არსობრივად მიღებულია კანონი მესხეთელების არდაბრუნების შესახებ. სხვა მოლოდინი არც უნდა გვექონოდ. არ არსებობდა არანაირი საფუძველი სერიოზულად განცხადება საქართველოს ვალდებულება მესხეთელი თურქების დაბრუნების თაობაზე“. ერთი მხრივ, 1999 წლიდან 2007 წლამდე გასული 8 წლის გამო კანონი

მიჩნეულია დაგვიანებულად, მეორე მხრივ, მისი მიღება ჩათვლილია ნაჩქარევად - ეს ურთიერთგამომრიცხავი დამოკიდებულება და ასევე დაბეჯითებით გამოთქმული ვარაუდი, რომ საქართველო არც კანონის მიღების შემდეგ აპირებს დეპორტირებულთა დაბრუნებას, ჩვენი აზრით, თავად „ვათანის“ მერყევი პოზიციაზე მეტყველებს.

ვფიქრობთ, ამგვარ დამოკიდებულებას შესანიშნავად უბასუხებს ფაქტები და საქართველოს ოფიციალური სტრუქტურების მიერ საჯაროდ გაცხადებული სტატისტიკა. მაშინდელი ინფორმაციით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც ევროსაბჭოს წინაშე აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით 2007 წლის 11 ივნისის მიღებულ იქნა კანონი (№ 5261) „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ“, კანონის ფარგლებში რეპატრაციის სტატუსის მოსაპოვებლად შესაბამის ვადებში მომართა 5841 პირმა, რომელთა შორის რე-

ჩართული უწყებების საქმიანობის კოორდინაცია და საკითხთან მიმართებით კონკრეტული ინიციატივებისა და რეკომენდაციების შესრულების ხელშეწყობა. დღესდღეობით ყოფილი სსრკ-ს მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოდან იძულებით გადაადგილებულ პირთა რეპატრაციის საკითხზე მომუშავე უწყებათაშორის სამთავრობო საბჭოს ხელმძღვანელობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი.

საქართველოს მიერ ვალდებულების შესრულებისკენ კიდევ ერთი ნაბიჯი 2014 წლის 12 სექტემბერს ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრაციის შესახებ სახელმწიფო სტრატეგიის მიღებით გადაიდა. სტრატეგიის მიზანს რეპატრაციის დაბრუნებისა და შეზღუდული საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხელშეწყობა წარმოადგენს.

სტრატეგიის ფარგლებში შემუშავებულია სამოქმედო გეგმა შესაბამისი უწყებების ჩართულობით, რომელიც ევროპის საბჭოსთან შეთანხმების შემდგომ

შორის კომპრომისებითა და შეთანხმებით. მიუხედავად ამისა, პეპინოვმა გააკრიტიკა საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, უწოდა მას არაკონსტრუქციული. ქართული საზოგადოების ნაწილის არასასურველ დამოკიდებულება კი ახსნა საბჭოთა პერიოდში გაბატონებული თურქოფობიის გავლენით და აღნიშნა, რომ ამის გაგება შეიძლება, რომ დამნაშავეს ძებნა აზრი არა აქვს, რომ ეს საბჭოთა პერიოდის გამოცხადება. საყურადღებოა რეპატრაციის პროცესისადმი საქართველოში არსებული დამოკიდებულების მისეული შეფასება: „ჩვენ გვსახავენ როგორც საქართველოს საფრთხეს. მათ წარმოუვლდენივართ, როგორც საფრთხე საქართველოს ერთიანობისა და მთლიანობისათვის. ამბობენ, რომ მუსლიმები ვართ და დროთა განმავლობაში მოვიხდომებით მინების თურქეთთან შეერთებას. სურთ, დახურონ რეპატრაციის საკითხი ამ კანონის საშუალებით და ასე გადაწყვიტონ ჩვენი პრობლემა... ქართული მხარე ცდება, თუ ფიქრობს, რომ იმის მოხერხებით, თითქოს პრობლემა წყვეტენ, პრობლემა მართლა გადაიჭრება. მე ვამბობ, ჩვენ არასოდეს არავისთვის არ წარმოვადგენთ საფრთხეს. აბსოლუტურად დარწმუნ-

ისევ საერთაშორისო დონეზე, მათ შორის დეპორტირებული მოსახლეობის წარმომადგენელთა ჩართულობით, მაგრამ, რამდენად სამართლიანია, აღინიშნოს ყველას ღვაწლი, დამსახურება ამ პროცესში და ერთი სიტყვაც არ ითქვას ქართული სახელმწიფოს მიერ გამოხატულ ნებაზე, ქართული საზოგადოების პოზიციაზე. ვფიქრობთ, ეს თავშივე არასწორი მიდგომაა. ბოლო წლებში შეინიშნება სხვადასხვა ქვეყანაში „ვათანის“ რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენელთა მხრიდან გახშირებული კონტაქტები საქართველოსთან. ეს მხოლოდ მისასაღმებელია. პირველ რიგში იმ სახელმწიფოსთან უნდა გაირკვეს ყველა საკითხი, დაისვას ყველა პრობლემა, სადაც სურს დაბრუნება დეპორტირებულ მოსახლეობას. როგორც რეალობა გვიჩვენებს, გასარკვევი ცოტა არ არის. ყრილობაზე მახილოგი ვაკვრით, მაგრამ მაინც შეეხო დეპორტირებული სახელმწიფოს საკითხს, რომელიც მხოლოდ ტერმინების დონეს ცდებოდა: „გავიდა რვა წელი და საბოლოოდ საქართველოს პარლამენტმა მიიღო თურქი მესხების დაბრუნების შესახებ კანონი, თუმცა, ამ კანონში, რატომღაც, თურქები იქნენ მესხებთან კანონის მხედველი მართლა ძნელი იქნება დაბრუნება აუცილებელია, მივმართოთ საერთაშორისო უფლებამძღველ ორგანიზაციებს ზოგიერთი მუხლის ცვლილების თაობაზე“. საკითხი გადასახლებული მოსახლეობის მესხობისა თუ თურქობისა, დღემდე აქტუალურია. ამაზე აზრთა სხვადასხვაობა და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს მსჯელობა, კამათი. ჩვენი ვიზიარებთ იმ მენიერთა ღრმა, საფუძვლიან, უტყუარ ისტორიულ დოკუმენტებზე დაფუძნებულ კვლევებს, რომლებიც მიჩნევენ, რომ მესხებიდან დეპორტაცია შეეხო გამაჰმადიანებულ ქართველ მოსახლეობას. საკითხის მნიშვნელობიდან და მისდამი ინტერესიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მას ცალკე წერილი უნდა დაეთოს.

როგორი ფორმატის შეხვედრაც არ უნდა იყოს, დეპორტაციის პროცესის და იძულებით გადაადგილებულ პირთა მიერ გადატანილი სირთულეების გახსენება უემოციოდ შეუძლებელია. ამიტომ სხვებთან შედარებით ემოციური აღმოჩნდა მ. ფაზრატივის (მოსკოვი) გამოსვლა: „გაიხსენეთ 1944 წელი, როდესაც ჩვენმა ხალხმა მიატოვა თავიანთი სახლები, ქონება. ყველაფერი დატოვეს საქართველოს მიწაზე. ფერგანის მოვლენები - მორიგი დანაკარგი, მათ შორის ადამიანებისა. ჩვენი უფროსი თაობა იბრძოდა საბჭოთა კავშირისათვის, ღვრიდნენ სისხლს თავისი პატარა სამშობლოსათვის და რა მიიღეს? აბსოლუტურად არაფერი, ჩვენ მშობლიურ ქუჩასთან დაგვგვორეს. საქართველო ბევრს კარგავს ჩვენი სახით, ჩვენ ვჭირვებით საქართველოს. ჩვენი ხალხი ხომ სადაც არ უნდა ცხოვრობდეს, დიდიან საღამომდე შრომობს. ჩვენ ვართ შრომისმოყვარეები, კანონმორჩილები. რა დემოკრატია-ვა საუბარი, როდესაც 63 წელია, ვერ ვხვდებით სამშობლოში. ჩვენი არავის ესმის, პირველ რიგში - საქართველოს. მე ვიმეორებ, ჩვენ ვჭირვებით საქართველოს. ჩვენ ვაქცევთ საქართველოს ავგავებულ მხარედ, როგორც ავაყვავეთ მორზაფულა - უზბეკეთში უდაბნო, რაც არსულად ნიშნავს „ყვავებულ ბაღს“. ფაზრატივის სიტყვებში არის სიმართლე. ძნელია, არ დაეთანხმო, რომ საქართველოს ყოველთვის სჭირდებოდა და განსაკუთრებით დღეს, თავისი თითოეული შეილი. სწორედ იმიტომ, რომ ის მისი სისხლი და ხორცი. არასწორია საქართველოს დადანაშაულება იმაში, რომ ქვეყანას არ ესმის დეპორტირებული მოსახლეობის, ხელოვნურად უქმნის მას ბარიერებს. პროცესის კანონის ფარგლებში მოქცევა, მისი რეგულირება და მართვა - არ ნიშნავს წინააღმდეგობას. არადა, სამწუხაროდ, სწორედ ასე გაივო გასახლებულთა ერთმა ნაწილმა საქართველოს პოზიცია. უცნაურია, მაგრამ არცერთი გამომსვლელს მოსკოვში გამართულ ყრილობაზე არ აღუნიშნავს, რომ თავად კანონის მიღება უკვე პოზიტიური ფაქტია, თითქოს პირიქით მოხდა. ა. ბეზინოვმა, როსტოვის ოლქის „ვათანის“ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, აღნიშნა: „ძალიან სამწუხაროა, იმის ნაცვლად, რომ ვიხსაროდეს საქართველოს მიერ მიღებული



პატრიანტის სტატუსი მინიჭებული აქვს 1533 პირს. მიმდინარეობს ასევე დარჩენილი განაცხადების განხილვის პროცესი (<http://www.mra.gov.ge/geo/static/173>).

ალარაფერს გამბობთ იმ ნაბიჯებზე, რომელიც სახელმწიფომ გადადგა მოგვიანებით და რომელთა შესახებ, ბუნებრივია, არ ეცოდინებოდა ბატონ ოსიპოვს. 2010 წლის 30 მარტს მიღებულ იქნა საქართველოს მთავრობის დადგენილება (№ 87) „რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირთათვის საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ“, რომელიც გამოირიცხავდა რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირის მოქალაქეობაზე უარის თქმა. დღეისათვის აღნიშნული საკითხი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 ივნისის N237 ბრძანებულებით „საქართველოს მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“. აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი, რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირს სტატუსის მინიჭებიდან 2 წლის განმავლობაში შეუძლია განაცხადოს გამარტივებული წესით მოქალაქეობის მინიჭების მოთხოვნა. საქართველოს მოქალაქეობის გამარტივებული წესით მინიჭების შესახებ ბრძანებულების გამოცემიდან ორი წლის ვადამი პირმა უნდა დატოვოს სხვა ქვეყნის მოქალაქეობა. პირობადებული მოქალაქეობა მიიღო 494 რეპატრიანტის სტატუსის მქონე პირმა.

2011 წლის 1 მარტს საქართველოს მთავრობის N111 დადგენილებით ჩამოყალიბდა უწყებათაშორისი სამთავრობო საბჭო, რომლის უფლებამოსილება რეპატრიაციის საკითხების რეგულირების პროცესში

დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას წარედგინება.

დავუბრუნდეთ ყრილობასა და მის ოქმს. თვითკრიტიკით დაინყო თავისი სიტყვა ფუად პეპინოვმა (მოსკოვი). ის უკმაყოფილო იყო იმით, რომ ვერ მოხერხდა ისეთი ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რომელიც გამოხატავდა, გაანალიზებდა და დაიცავდა დეპორტირებულთა ინტერესებს. ის, რომ საქართველომ ევროსაბჭოში გაერთიანებისას აიღო ვალდებულება, მიეღო 1944 წელს მესხეთიდან დეპორტირებული ხალხის რეპატრაციის შესახებ კანონი, მიიჩნია ცალსახად მხოლოდ დეპორტირებული მოსახლეობის მიღწევად. 1999 წლის შემდეგ შემუშავებული იყო თუ ხუთ კანონპროექტს უწოდა არადემოკრატიული, რომელიც დასახურების იყო არა „ვათანის“ დამსახურების გამო, არამედ საერთაშორისო ექსპერტებისა და უფლებამძღველების გამოსვლების ნყალობით, რომელთაც პეპინოვის აზრით, აღმოფრთხილდათ ეს უმსგავსობა. გამომსვლელმა აღნიშნა, რომ ხელიდან იქნა გაშვებული სერიოზული შანსები, რაც უტოლდება ხალხის ღალატს. მან უკმაყოფილება გამოხატა იმის გამო, რომ „ვათანის“ ხელმძღვანელებს გადაჰყავა ბევრი მნიშვნელოვანი საკითხი: „ხალხს არ ნაუკითხავს კანონი რეპატრიაციის შესახებ, არ დაინტერესებულან, რა დადებითი და რა უარყოფითი მესხეთელი თურქებისათვის ... ევროპის საბჭოსა და გაეროს ერთგულ უმცირესობათა კომისიაში ავგისნეს, რომ ძალიან თანაურგანობენ ჩვენს მდგომარეობას და მზად არიან, მაქსიმალურად დავეცხადონ, მაგრამ ისინი ასევე სერიოზულად არიან დაინტერესებული საქართველოს სტატუსით, ორივე მხარეს - საქართველოსა და დეპორტირებულ მოსახლეობას

ნებული ვარ, რომ ჩვენი სამშობლოში დაბრუნება შესაძლოა, იქცეს მასტაბილიზებულ ფაქტორად ქართული სახელმწიფოებრიობისა და ეკონომიკისათვის“. მუსლიმობის გამო რეპატრაციის პროცესების შეფერხებაში რომ დაადასაშაულო ქვეყანა, მას სულ მცირე არ უნდა ჰყავდეს თავიანი მოქალაქეების სოლიდური ნაწილი მუსლიმი და არც ისეთი ისტორია უნდა ჰქონდეს, როგორც საქართველოს აქვს. ჩვენს ქვეყანაში რელიგიური საკითხი არასოდეს ქცეულა პრობლემად, თუ გარედან მოხვეულ პროვოკაციასთან არ გვექონდა საქმე.

„ვათანის“ საკმაოდ აქტიურად საქმიანობდა დაარსების დღიდან. ა. ახილოვმა, დეპორტირებული ხალხის ფონდის თავმჯდომარემ, გაიხსენა „ვათანთან“ ჯერ კიდევ 1991 წლიდან დაწყებული თანამშრომლობა, რომლის შედეგად რუსეთში გამოიყო თანხა, რომლითაც 1993 წელს გადაიღეს დოკუმენტური ფილმი, ხოლო 1994 წელს გამოიცა წიგნი „თუქი-მესხები“. რეაბილიტაციის გრძელი გზა“. ასევე გაიხსენა 1997 წელს იუსულ სარგაროვთან ერთად ვიზიტები შვეიცარიაში და სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ გამართულ კონფერენციებში მონაწილეობა. ამიტომ შემთხვევითად არ მიიჩნია საქართველოს ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულება „მესხეთელი თურქების“ დაბრუნების შესახებ, 8 წლის დაგვიანებით, მაგრამ საბოლოოდ რეპატრაციის შესახებ კანონის მიღება. ყრილობაზე კიდევ არაერთხელ აღინიშნა, რომ კანონის მიღება „ვათანის“ და საერთაშორისო სტრუქტურების ძალისხევით მოხდა. აქ ბუნებრივად ჩნდება ერთი კითხვა: მართალია, კანონის შემუშავდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ისიც მართალია, რომ ამას წინ უძღვოდა არაერთი შეხვედრა, კონსულტაცია



კანონი, აღმოჩენილი დაბნელებები: კანონის მიხედვით ძალიან ძნელი იქნება დაბრუნება. პირველ რიგში ერთ წელიწადში განცხადებების მიღების შეძლეულება ვადა. კანონის მუხლებში ბევრი ბუნდოვანი საკითხია. თუ მივყვებით მუხლებს, ჩვენ შორის ვერაფერი დაბრუნდება. ამას ემატება რეპატრიანტის სტატუსის მოსაპოვებლად განაცხადების შეტანის გართულებული პროცედურა, დოკუმენტების გაფორმება ქართულ ენაზე და საქართველოს მხრიდან ჩვენი ხალხის წინაშე ყველაზე მორალურ და მატერიალურ ვალდებულებებზე უარის თქმა. ბევრი კანონის მოსაზრებას საუკეთესოდ უპასუხა დრომ და იმ სტატისტიკურმა მონაცემებმა, რომლებიც ჩვენ უკვე დავიმოწმეთ. რაც შეეხება საქართველოს მხრიდან დეპორტირებული მოსახლეობის წინაშე მორალურ ვალდებულებებს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს არ გაუთავსებია ისინი და იმეკვიდრა საბჭოთა სახელმწიფოს მიერ ჩადენილი ქმედებები, დეპორტაციის შესახებ კანონის მიღება სწორედ იმის გამო, რომ ვალდებულებების გამოხატავს. საინტერესო აღმოჩნდა რუსეთში თურქეთის ელჩის პირველი მდივნის სადინ აილიძის პოზიცია: „თურქეთის საელჩო ალიარებს იმ ლეგიტიმურ ორგანიზაციებს, რომელიც ირჩევს სახალხო, ალიარებულია, როგორც საზოგადოება „ვათანის“ საბჭო. ჩვენ ვებმარტობოდით და კვლავაც მივებმარტობით ამ პრობლემის გადაწყვეტაში. თურქეთის პრეზიდენტი და ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრისას ყველაფერს სვამს ამ საკითხებს განახილვად. საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში დაინტერესებულია არა მხოლოდ თურქეთი, არამედ ვფიქრობთ, ყველა ქვეყანა, მათ შორის ევროპის საბჭო იმდენად, რამდენადაც განიხილება ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ნორმების დარღვევა. დარწმუნებული ვარ, თავად საქართველო დაინტერესებულია პრობლემის განაწესებით. მინდა დავარწმუნოთ, რომ ეს პრობლემა ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაწყდება“. რუსეთში თურქეთის საელჩოს წარმომადგენლის მოსაზრება გასაგებია. მისაღება პოზიცია, რომ პირველ რიგში საქართველო დაინტერესებულია პროცესების სწორად წარმართვით. თუმცა ერთი კითხვა კვლავ ისმის: რატომ არ ესწრაფა ყოველი მოსახლეობის წარმომადგენელი? ჩვენთვის ამ ეტაპზე ძნელია იმის გარკვევა, იყო თუ არა ოფიციალურად მიწვეული საქართველოდან ვინმე, თუმცა ფაქტი რჩება ფაქტად: ყველა პრობლემა, საკითხი, რომელიც დაიხსნა ყოველგვარი ექსპერტის, ექვობისა და საქართველოს და განიხილებოდა საქართველოს გარეშე.

მესხეთელი თურქების საზოგადოების წევრი მოსკოვსა და მოსკოვის ოლქში ე. ალივი უკმაყოფილოა იმის გამო, რომ კანონი არ ითვალისწინებს დეპორტირებული რეპატრიანტების: „ჩვენ არ გვეხება ის ბრალი, რომელიც მოიგონეს სტალინმა და ბერიამ, რომ გავსახლებინათ ჩვენი მამები და პაპები. კანონი არ ითვალისწინებს იმ რევიონში ჩასახლებას, საიდანაც გამოასახლეს. კანონში არაფერია ნათქვამი - თურქებზე, ქურთებსა და ხემშილებზე. იქ საუბარია, რაღაც გაურკვეველ „პირებზე“, რომლის მიღაც შეიძლება იგულისხმოს ყველა, გარდა თურქისა. ვადაც შეზღუდულია. თანაც რეპატრიანტის სტატუსის მინიჭებისას უპირატესობა ენიჭება იმას, ვინც იცის ქართული ენა. რეპატრიანტის სტატუსის მიღების კანდიდატმა უნდა გაიაროს გასაუბრება და, ღმერთმა ნუ ქნას, რომ თქვას - თურქი ვარო. მას მაშინვე მიანიშნებენ თურქეთის გზაზე, მე მინდა ვკითხო „ვათანის“ ხელმ-

ძღვანელობას, რატომ დაეთანხმა ევროპის საბჭოში კანონის მიღებას (2006 წლის 12 ივლისს)?“ მსგავსი მოსაზრებების გამო ქართული საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულება დეპორტაციის პროცესისადმი არაპოზიტიურია. სწორედ ასეთი გამოხატულებები მოჰყავთ არგუმენტებად იმ ადამიანებს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ დეპორტირებული დაბრუნება საქართველოში დაუშვებელია. თუმცა, ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილს კარგად აქვს გააზრებული, რომ საკითხის დასმის უფლება ყველას აქვს და ნებისმიერ კითხვას, რომელიც ისმის სათანადო პასუხი უნდა გაეცეს. საქართველომ იცის, ვინ გაასახლეს საბჭოთა პერიოდის დროს ჩვენი ქვეყნიდან, ამას უხსნის ყველა დაინტერესებული მხარე და კანონში ტერმინებიცა და პირთა იდენტობაც ფიქსირდება ისტორიულ სინამდვილეს. სინამდვილეს, რომელიც ერთია და რომელსაც მეტად სჭირდება შესწავლა, პოპულარიზაცია სხვადასხვა მიმართულებით - როგორც სახელმწიფო, სამეცნიერო, ისე საზოგადოებრივ დონეზე. ყოველგვარ კიპორტაციის შესახებ კანონის მიღება სწორედ იმის გამო, რომ ვალდებულებების გამოხატავს. საინტერესო აღმოჩნდა რუსეთში თურქეთის ელჩის პირველი მდივნის სადინ აილიძის პოზიცია: „თურქეთის საელჩო ალიარებს იმ ლეგიტიმურ ორგანიზაციებს, რომელიც ირჩევს სახალხო, ალიარებულია, როგორც საზოგადოება „ვათანის“ საბჭო. ჩვენ ვებმარტობოდით და კვლავაც მივებმარტობით ამ პრობლემის გადაწყვეტაში. თურქეთის პრეზიდენტი და ხელისუფლება საქართველოს ხელისუფლებასთან შეხვედრისას ყველაფერს სვამს ამ საკითხებს განახილვად. საკითხის საბოლოო გადაწყვეტაში დაინტერესებულია არა მხოლოდ თურქეთი, არამედ ვფიქრობთ, ყველა ქვეყანა, მათ შორის ევროპის საბჭო იმდენად, რამდენადაც განიხილება ადამიანთა უფლებების საერთაშორისო ნორმების დარღვევა. დარწმუნებული ვარ, თავად საქართველო დაინტერესებულია პრობლემის განაწესებით. მინდა დავარწმუნოთ, რომ ეს პრობლემა ადრე თუ გვიან, აუცილებლად გადაწყდება“. რუსეთში თურქეთის საელჩოს წარმომადგენლის მოსაზრება გასაგებია. მისაღება პოზიცია, რომ პირველ რიგში საქართველო დაინტერესებულია პროცესების სწორად წარმართვით. თუმცა ერთი კითხვა კვლავ ისმის: რატომ არ ესწრაფა ყოველი მოსახლეობის წარმომადგენელი? ჩვენთვის ამ ეტაპზე ძნელია იმის გარკვევა, იყო თუ არა ოფიციალურად მიწვეული საქართველოდან ვინმე, თუმცა ფაქტი რჩება ფაქტად: ყველა პრობლემა, საკითხი, რომელიც დაიხსნა ყოველგვარი ექსპერტის, ექვობისა და საქართველოს და განიხილებოდა საქართველოს გარეშე.

9 წლის წინ კი მოსკოვის ყოველგვარი საბჭოთა რეპატრიანტის, პარლამენტის და ქართულ საზოგადოებას შემდეგი გზავნილი მიმართა: „1. საქართველოს კანონი „ყოფილი სსრკ-ის მიერ XX საუკუნის 40-იან წლებში საქართველოს სსრ-დან იძულებით გადასახლებულ პირთა რეპატრიაციის შესახებ“ მიღებული 2007 წლის 27 ივლისის საქართველოს პარლამენტის მიერ და ხელმოწერილი საქართველოს პრეზიდენტის მიერ არ ასრულებს იმ ვალდებულებებს, რომელიც საქართველომ იკისრა 1999 წელს ევროპის საბჭოში შესვლის დროს. კანონი არ ქმნის არანაირ პირობებს იძულებით გადასახლებულთა დასაბრუნებლად. კანონი შეიცავს დისკრიმინაციულ შეზღუდვებს და მიმართულია

დეპორტირებული მოსახლეობის სამშობლოში დაბრუნების საწინააღმდეგოდ.

2. მიმართოს ევროპის საბჭოს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს, საზოგადოებას და განემარტოს „ვათანის“ პოზიცია საქართველოს ერთიანობის, მთლიანობის, მისი აყვავების, სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების დადასტურებით“. რეზოლუციის მესამე მუხლი 2007 წლის 7 ოქტომბერს თბილისში ჩატარებულ ყრილობას ეხება.


ასეთი იყო ორგანიზაცია „ვათანის“ თვალსაზრისი რეპატრიაციის შესახებ კანონთან დაკავშირებით, რომელიც დაფიქსირდა ოფიციალურად ამ კანონის მიღებიდან რამდენიმე თვეში გამართულ ყრილობაზე. თამამად ვამბობთ, ორგანიზაციის პოზიცია, რადგან ყრილობა საკმაოდ წარმომადგენლობითი გახლდათ. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა. დრომ დაადასტურა, რომ ნებისმიერი საკითხი მსჯელობისა და შეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეიცვალოს და შეიცვალა კიდევ. პროცესები გრძელდება და არცთუ ურიგად. „ვათანი“ დღესაც აგრძელებს საქმიანობას, როგორც ადვინსთი, საქართველოსთან კონტაქტები შედარებით გააქტიურდა, რაც კარგია. ორგანიზაცია ოფიციალურად კვლავაც ამდენიმე პრიორიტეტს ისახავს: გასახლებულთა სამშობლოში დაბრუნების და ისტორიული მოვლენების შესახებ ახალგაზრდების განათლების ხელშეწყობა, ასევე რეკრესიის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სფეროში საერთაშორისო პრაქტიკის შესწავლა. როგორც აზერბაიჯანში საზოგადოებრივი გაერთიანება „ვათანის“ ხელმძღვანელი იბრაჰიმ მამედოვი აღნიშნავს, ამ მიზნების განხორციელებისთვის ტრადიციულ ღონისძიებებში იმართება მრავალი მაგადა, შეხვედრები, აქტიურობები თანამშრომლობა საქართველოს სახელმწიფო, რეგიონულ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სამშობლოში განათლების მოსაღება აქტიურობები კონტაქტები უნივერსიტეტებთან (სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ დეპორტირებული შთამომავლები არა მხოლოდ აზერბაიჯანიდან). რაც შეეხება რეპატრიაციის შესახებ კანონს, იგი მოქმედებს, მონაცემები უკეთესობისკენ იცვლება. ამ პროცესებს საზოგადოება „ვათანთან“ 2013 წლის 21 მაისს გამართულ შეხვედრაზე გამოეხმაურა ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის მიხედვით: „ვათანის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, თუ როგორ იმდინარეობს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი. სულ სამინისტროში შეხვედრა 8900 განაცხადი, მათ შორის 5841 ზრდასრული ადამიანის. აქედან 1053 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი. მათ შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.“

„ვათანის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, თუ როგორ იმდინარეობს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი. სულ სამინისტროში შეხვედრა 8900 განაცხადი, მათ შორის 5841 ზრდასრული ადამიანის. აქედან 1053 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი. მათ შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.“

„ვათანის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, თუ როგორ იმდინარეობს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი. სულ სამინისტროში შეხვედრა 8900 განაცხადი, მათ შორის 5841 ზრდასრული ადამიანის. აქედან 1053 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი. მათ შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.“

„ვათანის“ წარმომადგენლები დაინტერესდნენ, თუ როგორ იმდინარეობს რეპატრიანტის სტატუსის მინიჭების პროცესი. სულ სამინისტროში შეხვედრა 8900 განაცხადი, მათ შორის 5841 ზრდასრული ადამიანის. აქედან 1053 პირს უკვე მიენიჭა რეპატრიანტის სტატუსი. მათ შეუძლიათ, მიმართონ შესაბამის უწყებებს საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების თხოვნით.“

მასა კაჭკაჭიშვილი - ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში



მამულო ჩემო

შენი სუნთქვა ვარ, შენი დარი ვარ, და შენი ფიქრი დედულ-მამული, ამ ქვეყანაზე მიტომ მოვედი, რომ სიკვდილამდე შენ გემსახურო.

მინდა, თუნდ სიზმრად ისევ გიხილო ნიკოფსიდან - დარუბანდამდის, მინდა, კვლავ აღსდგეს და განმეორდეს დრო რუსთაველის - დიდი თამარის.

მტერმა რამდენჯერ ცრემლი გადინა, წყალს შერთო შენი სისხლის ღვარები, ისევ აღსდევს მკვდარი თნი ფერფლიდან, - უფრო მშვენივლი და ლთამადევი.

მამონ კვლავ ვეცხვით ახალ თაობას, - რანი ვიყავით, როგორ ვიარეთ, იქნებ, მათ შეძლონ შენი მორჩენა და უმკურნალონ შენს ღრმა იარებს!

„ჩივილი ერთხელა წინააღმართა ნაქვადი...“

(ჩანახატი)

შემოდგომის ნისლმურული დღეა, მაგრამ ამინდი ვერ მიცვლის იმ შინაგანი სიხარულისა და ბედნიერების განცდას, რომელიც ტაო-კლარჯეთში მოგზაურობისას ველი. ეს იყო ჩემი ბავშვობის, სტუდენტობისა და, შემოიღია ვთქვა, მთელი განვლილი ცხოვრების ოცნება.

დეკაცები. ეს მინა უყვარდათ, ეს მთები, ჭალები... კიდევ?... ენა ჰყვარებოთ, - მშობლიური ენა ქართული და სარწმუნოება თვისა...

ჩემს ფიქრებში არა ერთხელ წარმოიდგენია ის საოცრებები, რომლებიც გრიგოლ ხან-ძთელმა და მისი ძმობის წევრებმა შექმნეს სასახლის იმ პირქუშ ტალანტში, სადაც აშოტ კურაპალატი და ძენი მისნი დაბრუნდნენ. ზოგჯერ სიზმარშიც კი მინახავს ცად აზიდული კვთა პარმონია და ქართული ნიჭისა და გენის საოცრებები.

ოშხანი, პარხალი, ხახული, ოშკი, ოთხთა ეკლესია, დოლისყანა, ხანძთა... ორი დღისთვის უზომოდ დიდი ემოცია და განცდა ნებისმიერი მხატვრისათვის. არ შეიძლება იხილო ყოველივე ეს და არ ირწმუნო, წინაპართა ჩვენთა უძლეველობა. მართლაც ლამაზად იცოცხლებს და იშრომებს. მათი ნაღვანნი დღესაც ამაყად დგანან და გვახსენებენ თავიანთ სიდიადეს... მათი ბუმბერაზი არჩილეთი დღესაც დაბრუნდნენ ჩვენ გარშემო ხან ხილულნი, ხან უხილავნი და ყოველ წამს გვახსენებენ - „რანი ვიყავით“... მე-ამაყება, ქართველი რომ ვარ!

მოუთმელობა მიპყრობს. მინდა მალე დასრულდეს გზა. ნეტავ ჩემი წარმოსახვა, მოლოდინი და რეალობა თუ იქნება ერთნაირი? გონებაში ერთი ლექსი ამიკვირება: „გმირ წინაპართა სისხლით მორწყული, ჩვენი დიდების მინის ნაჭერი“... უნებლედ წარსულში ვიძირები... სწორედ თავდაუზოგავი შრომით შექმნილი და ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა ბირთვისის და ხერთვისის, ვარძია და არმაზი, ოშხანი და პარხალი, ოშკი და ხახული, ბანა და ხანძთა... ფიქრებიდან ხმაურმა გამომიყვანა. პირველი ძველი, რომელსაც ვუახლოვდებით, ბანაა - ფანასკერტელის საუფლო. ნუთუ აქ ქმნიდა ცნობილ „კარაბაღინს“ დიდი ფანასკერტელი? თითქოს, არც თუ ისე შორეული წარსულია ეს ყველაფერი, მაგრამ ბანას დღევანდელი მდგომარეობით ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, აქ ისეთი სურათი გვხვდება, - მინდა დაგვხურო თვალები და ბანა დაუნგრეველი ვიხილო, მაგრამ... უზომოდ მწყდება გული!

მინდა მალე დასრულდეს გზა. ნეტავ ჩემი წარმოსახვა, მოლოდინი და რეალობა თუ იქნება ერთნაირი? გონებაში ერთი ლექსი ამიკვირება: „გმირ წინაპართა სისხლით მორწყული, ჩვენი დიდების მინის ნაჭერი“... უნებლედ წარსულში ვიძირები... სწორედ თავდაუზოგავი შრომით შექმნილი და ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა ბირთვისის და ხერთვისის, ვარძია და არმაზი, ოშხანი და პარხალი, ოშკი და ხახული, ბანა და ხანძთა... ფიქრებიდან ხმაურმა გამომიყვანა. პირველი ძველი, რომელსაც ვუახლოვდებით, ბანაა - ფანასკერტელის საუფლო. ნუთუ აქ ქმნიდა ცნობილ „კარაბაღინს“ დიდი ფანასკერტელი? თითქოს, არც თუ ისე შორეული წარსულია ეს ყველაფერი, მაგრამ ბანას დღევანდელი მდგომარეობით ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, აქ ისეთი სურათი გვხვდება, - მინდა დაგვხურო თვალები და ბანა დაუნგრეველი ვიხილო, მაგრამ... უზომოდ მწყდება გული!

ნანახით გაცოცხლებული კვლავ წარსულის ლაბირინთებში ვიკარგები და ვფიქრობ: ამ მინაზე დაბადებულან თურმე ისინი, აქ უცხოვრობათ, ძალუდებ ჰყვარებიანთა აქაურობა და... აქვე მიაცვალნენ ის

მინდა მალე დასრულდეს გზა. ნეტავ ჩემი წარმოსახვა, მოლოდინი და რეალობა თუ იქნება ერთნაირი? გონებაში ერთი ლექსი ამიკვირება: „გმირ წინაპართა სისხლით მორწყული, ჩვენი დიდების მინის ნაჭერი“... უნებლედ წარსულში ვიძირები... სწორედ თავდაუზოგავი შრომით შექმნილი და ააშენეს ჩვენმა წინაპრებმა ბირთვისის და ხერთვისის, ვარძია და არმაზი, ოშხანი და პარხალი, ოშკი და ხახული, ბანა და ხანძთა... ფიქრებიდან ხმაურმა გამომიყვანა. პირველი ძველი, რომელსაც ვუახლოვდებით, ბანაა - ფანასკერტელის საუფლო. ნუთუ აქ ქმნიდა ცნობილ „კარაბაღინს“ დიდი ფანასკერტელი? თითქოს, არც თუ ისე შორეული წარსულია ეს ყველაფერი, მაგრამ ბანას დღევანდელი მდგომარეობით ამის წარმოდგენაც კი შეუძლებელია, აქ ისეთი სურათი გვხვდება, - მინდა დაგვხურო თვალები და ბანა დაუნგრეველი ვიხილო, მაგრამ... უზომოდ მწყდება გული!

ნანახით გაცოცხლებული კვლავ წარსულის ლაბირინთებში ვიკარგები და ვფიქრობ: ამ მინაზე დაბადებულან თურმე ისინი, აქ უცხოვრობათ, ძალუდებ ჰყვარებიანთა აქაურობა და... აქვე მიაცვალნენ ის



მამულო ჩემო

მე და ჟორა სწიხიანმა ერთმანეთი დიდი ხნის წინ გავიცანით – გასული საუკუნის 80-იან წლებში და ჩვენი მეგობრული ურთიერთობაც იმ პერიოდისაა დაიწყო.



მეგობრობის ძირი მოძოვრული ქოუცი

ბით უნდა განისაზღვრებოდეს, არამედ, საჭიროა ერთმანეთის ლიტერატურასაც თარგმანებით ახლოს ვეცნობოდეთ.

ლობის ერა დაგვიდგა, მეტი შანსი და შესაძლებლობა გაგვიჩნდა, ყინული ადგილიდან დავძრათ და ბოლო დროს გაჩენილი ეს დიდი სიცარიელე ამოვავსოთ.

ლაც ასეა. ჟორა სწიხიანის სახით თანამედროვე სომხურ მწერლობას მრავალი საინტერესო მწერალი შეემატა და მოვალენი ვართ მათი შემოქმედებით აქტიურად დავაინტერესოთ ქართველი მკითხველიც.

წლებს ქართულ-სომხური ურთიერთობების განმტკიცებაში, იგი თავის შემოქმედებაში ხომ დიდი სიფაქიზით იღვწის ქართველი და სომეხი ერების საუკუნოვანი მეგობრობის კიდევ უფრო განმტკიცებისათვის.

ავთანდილ ბერიძე

გვერდ (ჟორა) სწიხიანი

შემინდე შობილს

დღე მიმწუხრისკენ, ჩვეულებრივ, გაირევს სევდას, მზე ჩამავალიც ლამაზია, დიდება გამჩენს!..

თვალი – გზაზე და ყური – კარზე!.. ზის, შვილებს ელის და იმედთან მოლოდინით იყურებს ტკივილს.

შენს სასთუმალთან მუხლმოყრელი ვლოცულობ, დედი, უსასოოს და შესაბრალისს გიმალავ სახეს...

თვალს და ხელს შუა ეს რა სწრაფად მეცლები, ვაგლახ! ვერაფერს გმევი, – უძლურება შემინდე, დედა, ნეტავ ოდესმე უთენია კვლავ შინ თუ გნახავთ ჩემ სევდის ბაღში წამით თვალს თუ შეგავლებ ნეტავ?!

როს სული შენი შეერთება ვარსკვლავთს ცადა, თავად იქცევი გაბრწყინებულ ვარსკვლავად დილის, ქვეყნიერებას გადმოხედავ, უკვდავო, ხატად და არ მოაკლებ კაცთა მოდგმას დედობრივ ღიმილს...

შემოდგომური რაფსოდია

მივდექ უსახურ დღეთა დინებას გადაქანცულ და სწეულ სხეულით და გაცვეთილი ღრძობებით ვლოღნი უკუღმართ ყოფას, ჟამმოთხეული.

მარტივლის გული ხელით მიჭირავს და მკერდით ვხვდები დაძრულ ქარიშხალს, სისხლის ცრემლი მდის და არც კი ვიცი, სწიხიანს თავი როგორ დავიხსნა.

სულის წამამაშებს ცეცხლი ედება და გენიის ალში ვინვები, ზოგჯერ ჯვარსაც ვთმობ და უსასოო უწუმრად ვუტყვ კალოს ფინლებით...

დგას შემოდგომა ჩემი ცხოვრების, მწუხარ ფიქრების ალას ვაცილებ, მჯერა, საქმესაც მალე მოვრჩები და ნავალვებზე კვლავაც იწვიმებს...

მეფე თამარის ძეგლი ახალციხეში

დაბრძანებულა მეფე ქართველთა, საუკუნეთა სიღრმეთა მგზავრი, – თეთრად მოსილი, თეთრი გვირგვინით და ხელთუქმნელის ნეტარის შარმით...

საუკუნეთა სიღრმით მოსულა, გრძნეულებით და განგებით უფლის, მოუტანია ქართველთ დიდება, შარავანდით უბრწყინავს შუბლი.



დაბრძანებულა, ან მეფე თამარს დღევანდელი დღის აფიქრებს ბედი! – მონმე ჩავლილი ოქროს ხანაა, ხატი – ვარძია უნთია გვერდით...

დღეს გული უძგერს ჩვენს გვერდით თამარს, თამარი გულგრილს არ ტოვებს არვის, თეთრად მოსილი, თეთრი გვირგვინით საუკუნეთა სიღრმეთა მგზავრი...

ქუთუთოებზე მანვება თალხი, თვალის გუგები ტკივილით ფეთქავს, გული საგულეს აღარ მაქვს, ვიცი, რომ ამ ღამესაც გავათევ თეთრად.

ქუჩის ძაღლების მშვიერი ხროვა გზას მიჭრის ღრენით – უკანაც, წინაც... სიზმარში მფლეთენ... აქ გადამშეულ ქალაქის ყველა მათხოვარს სძინავს.

ნავაგში პურის ნამცეცებს ვეძებ, რომ მივანვინო ჩემს სამო ხროვას, ნუთუ, უფალი, ამაზე მეტი გაუსაძლისი დრო-ჟამიც მოვა?!..

მშვიერს სიკვდილი ბევრს რას დააკლებს,

ან მკვდრის კვლავ მოკლა ვინ თქვა, ძმობილო?!.. ღმერთმანი, დროა მეორედ მოსვლის, რომ კვლავ ჯვარს ეცვა, მხოლოდშობილო.

ქუთუთოებზე მანვება თალხი, თვალის გუგები ტკივილით ფეთქავს, გული საგულეს აღარ მაქვს, ვიცი, რომ ამ ღამესაც გავათევ თეთრად.

შუადღე

ეზოში, ჩრდილში, მივდებულა ლეკვი ქასქასით; საბრალოს ქანცი ჩასწურვია გამდნარ ასფალტში... მთანინდის თავზე გაუშლია მარაო არნივს...

სულ არ ანალვლებს ლეკვის ბედი, – არც მინის, არც ცის...

ცხელა! ლაფვარდში აიჭრება უცებ, მოსხლტით! ... ლავად ქცეულა რუსთაველის მთელი პროსპექტი!

უკუსვლა – ლექსად

ვარ დაბნეული, იჭვი მკლავს ასე, – ჩემს ვტოვებ დაცლილს, – სხვის ბედელს ვავსებ.

მაჯაში ძალა მარგია რაში, – სხვის ჭკაც „ვაჭენებ“ ნაცვლად ჩემ რაში!

სიღრმეთა მხედი ვდექ ფიქრებს მარტივს, – მკათათვეს მიჯობს სიგაფე მარტის!

სხვის სახლს კრამიტით – ჩემს ვხურავ ისლით, – ამცდარი ჩემ გზას, გზით მივალ ვისით?!..

ადგილის დედას სხვა მხარე მიჯობს, – რად ვამჯობინე გამართულს ღრიჭო?!.

ჩემსას გავურბი თითქოსდა განგებ, – არ ვგალოვ ჩემსას ვიმღერ სხვის ჰანგებს!

ამ ტაძართ მრევლის სხვის ნიშით ვხარობ, – წმიდა წყალს ჩემსას სხვა მიჯობს წყარო!

გადავყვე უბრად სატანჯველ ურვას, – თავად სწეული სხვის სწებებს ვკურნავ!

რისთვის ჩავთვალე რიომი ხვითოდ, – ადგილის დედას სხვა შეცვლის ვითომ?!..

მხატვარ გაიანე ხაჩატურიანს

ტილო – ამგვარი რეალურიც, ირიალურიც, ფერთა სიუხვე – სასწაული დღესასწაული!.. ამქვეყნიურის ტყვე და მეფე იმქვეყნიურის და უჩვეულო გატაცებით – ამორძალურით!..

ალუსრულები სატანჯველის სევდა თვალეში, ქალწული მხატვრის დედობრივი განცდა – ალერსი!.. ირიალურის რეალური მწარე ტკივილი და ირგვლივ როკვა ბერიკათა – უმხურვალესი!..

ყოფა დუხჭირი, მკვლელიცა და მიმტყველებელიც, საოცარ ფერთა აღლუმს, ღმერთო, როგორ შეჭვდის!.. სომხური ხელქმნის ჯადოსნური გამოხატება, მხილველთა ხიბლის მომგვრელი და დამტყვევებელი!..

თარგმნა ბივი შაჰნაზარმა

თინა ივლიანი

ახალციხის რაიონში არაერთი ისტორიული ძეგლია, რომელთა შესახებ წერილობითი წყაროები ან საერთოდ არ არსებობს, ან თუ არსებობს, მეტად მწირ ცნობებს შეიცავს. შეიძლება ითქვას, რომ ქუმის სამონასტრო კომპლექსი ისტორიულ ძეგლთა ასეთ სახეობას მიეკუთვნება.

მონასტერი სოფელ სვირის სამხრეთ-ჩრდილოეთის მხარეს, ტყის სიღრმეში, საკმაოდ მიუვალ ადგილზე მდებარეობს. გზა საკმაოდ მიუვალა. მონასტერთან მისასვლელად ფეხით მოსიარულეს კი, სულ ცოტა, ორი საათი მაინც სჭირდება. აღმართს დაღმართი ხშირად ცვლის და ასე მეორდება ქუმის წყლამდე, რომელიც მონასტერს საძირკვლის ძირში ჩამოუდის. უკანასკნელ აღმართს ავივით თუ არა, თქვენს თვალწინ უღამაზე სი პეიზაჟი გადაიშლება, რომელშიც ობოლი მარგალიტით ეულად აღმართულია, ალბათ ერთ დროს, დიდებული ტაძრის ნანგრევები. მას საკმაოდ დიდი ტერიტორია უკავია. მონასტრის ირგვლივ ფოთლოვანი ხეებითა და ხშირი ბუჩქებით დაფარული ნამოსახლარისა თუ ბერების სენაკების ნანგრევების ფრაგმენტები მოჩანს.

გ. ბოჭორიძის აღწერით, - „ქუმის მონასტერი დგას ს ვ ი რ ი ს ჩრდილო-დასავლეთით 5 ვერსზე, ტყეში, ორი ხევის, მ ო ლ ო ბ ი ლ ი ს წყლის და დ ი დ ი ზ ღ ვ რ ის წყლის შესართავს შუა. მოლობილის წყალი ჩამოედის მარჯვნივ (სამხრეთ-დასავლეთით). ხოლო დიდი ზღვრის წყალი მარცხნივ (ჩრდილო-აღმოსავლეთით). იგი დგას კლდოვან გორაკზე. ამის ქვევით წყალს ეწოდება ქ უ მ ი ს წყ ა ლ ი.

ეკლესია ერთნაგავიანი შენობაა 13,7 x 6,2 მ. მას სამხრეთით და ჩრდილოეთით მთელ სიგრძეზე აქვს შენობები: სამხრეთი შენობა წარმოადგენს სამ ნაწილს (სამწირველოს, კარიბჭეს და სამწირველოს). ჩრდილოეთისაკენ აქვს გრძელი გალერეა. ჩრდილოეთის გალერეის მთელ სიგრძეზევე ჩრდილოეთით აქვს დიდი ოთახი. ეკლესიასა და მის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილებს კარი აქვს - დასავლეთით - 3, სამხრეთით - 1 (ერთი შიგნით, თვით ეკლესიას და და ერთიც - ჩრდილოეთით, შიგნით, ჩრდილო ნაწილში - გასასვლელი). სარკმელი აღმოსავლეთით - 3, დასავლეთითაც 3 უნდა ყოფილიყო, დღეს მხოლოდ ორი, სამხრეთ ნაწილს დაზიანება აქვს. სამხრეთ მხარეს თვით ეკლესიას აქვს 1 სარკმელი. ეკლესია შიგნით და გარეთ ნაგებია სულ თლილი ქვისა და კირისაგან. ეკლესია დღეს ნანგრევებად არის: თალი ჩამოქცეული აქვს, დგას მარტო კედლები. სამხრეთი ნაწილის

თალი და სამხრეთი კედლის ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს. თვით ეკლესიას სამხრეთ მხარეს ზევითა ნაწილში პირის ქვა ჩამოცლილია და ნანგრევებში ყრია. ჩრდილო გალერეის და ჩრდილო ოთახს თაღები შენახული აქვს. ეკლესიას სამხრეთი კედლის აღმოსავლეთი ნახევრის ზევითა ნაწილი დაქცეული აქვს. ეკლესიას საკურთხევლის სამხრეთ მხარეს აქვს ღრმა და მაღალი თახჩა. ეკლესიის სამხრეთ და ჩრდილოეთ კედლებს აქვთ პილი-

თის მიმართულებით მთელ სიგრძეზე და ჩამოქცევას ღამობს. წვიმა ჩამოდის ყველგან. ეკლესიის და გალერეის სახურავზე ამოსულია ქუმის ბაღახი. ეკლესიის ჩრდილო გალერეას დასავლეთ ნაწილში თაღის შიგნითა პირი ჩამოქცეული აქვს. ამავე გალერეის ჩრდილო კედლის პირის ქვა ნაწილობრივ მოცილებული აქვს. ჩრდილო ოთახს კარი აქვს დასავლეთით და მისი დასავლეთი კედელი მაღლითა ნაწილში დანგრეულია. ეს შენობა ეკლესიის



ქუმის სამონასტრო კომპლექსი

ასტრები და თითო მხარეს სამ-სამი ყალბი კამარა.

ეკლესიის სამხრეთ-დასავლეთით კედელში არის ე.წ. „მარკოზის“ ქვაბი, ე.ი. გამოქვაბული კლდეში. სოფლიდან 4 ვერსზე, სერზე, „ნითელ ჯვარად“ წოდებულზე უწინ ყოფილა მუქი ქვისაგან გაკეთებული და აღმართული ჯვარი 1 საყენი სიმაღლით, ნარწუნა ჰქონია, გაუნადგურებიათ და იქვე ჩრდილოეთ კლდეზე გადაუყრიათ ამ რამდენიმე ხნის წინათექლესიის დასავლეთის კარი მისივე ფანჯარა და აგრეთვე აღმოსავლეთის ფანჯარა შემკულია, შესანიშნავი ჩუქურთმით. დასავლეთის კარის კამარის ზევი, თიხაში, პირით აღმოსავლეთისაკენ უდევს ქვაჯვარი ორი მხისა და ყვავილების გამოსახულები. ეკლესიის ჩრდილოეთი ნაწილი - გალერეა სიგანით არის 2,3 მ, სამხრეთისა კი 2 მ. ჩრდილოეთის ოთახის ზომა არის სიგრძით 13,7 მ. სიგანით თავში (დასავლეთ ნაწილში) 4,6 მ. ბოლოში (აღმოსავლეთ ნაწილში) 285 მ. ეს ოთახიც ნაგებია შიგნით და გარეთ სულ თლილი ქვებით, მხოლოდ თალი აქვს უბრალო ნატეხი ქვისა. თალი გარღვეულია აღმოსავლეთ-დასავლ-

ხაზზე დასავლეთით 1,5 მეტრით წინ არის გამოწეული. ეკლესიის ჩრდილო გალერეის თალი შედარებით უკეთ აქვს შენახული. ეკლესიის და მის ნაწილებს დასავლეთის მხარეს კედელში გამოწეულია აღმოსავლეთიდან ადგილის უკმარისობით. აღმოსავლეთი ნაწილი ვიწროა და დასავლეთისაკენ უფრო ვიწროა. მისი კამარა დაბალი, ტლანქი და დეფორმირებულია. კამარას იჭერს სამი თალი, რომლებიც კრონშტინების ყურდობიან. კამარა გაბზარულია მთელ სიგრძეზე, ქვები კარგად თლილია.

მთავარი ეკლესიის ორი ფასადი შემორჩა კარგად-აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთის ფასადი თითქმის მთლიანად დანგრეულია. ამ ფასადებს ამკარავს ეტყობათ გვიანდელი შეკეთების კვალი, შიგდა შიგ ჩართულია ძველი ქვები. ეს კარგად გათლილი დიდი ზონის ნატყრისფერი კვადრები, ახალი ქვები კი-ყვივითი ქვიშაქვაა. დასავლეთის ფასადზე კარების ჩუქურთმის ჩარჩოს თავზე ჩასმულია ქვა, რომელზედაც მკლავებგაგანერებული ჯვარია ამოკვეთილი. მის განხრევე შესანიშნავ დეკორატივ სარკმელი, რომელზეც აღმართული იყო დეკორატიული შეკული ჯვარი (გადარჩა

ჩრდილოეთ მონაკვეთში გაჭრილია ორიღობისნი გასასვლელი ჩრდილოეთ ნაშვი. გასასვლელი კვეთით მრგვალი სვეტიტაა გაყოფილი.

მთავარ დარბაზს ანათებენ აღმოსავლეთისა და დასავლეთის თაღოვანი და სამხრეთის (მორღვეულითაგანი) სარკმლები. შესასვლელი ორი - დასავლეთის და სამხრეთის. ეს უკანასკნელი შიგნიდან მორღვეულია. დასავლეთის კარი შიგნიდან თაღოვანია, გარედან - არქიტურაული. ღიობი ჩასმულია გარედან, ასეთი შემადგენლობით, პროფილში: ორმაგი ლილვი კედლის სიბრტყეში, დეკორატიული წნულის არშია და ზედ კარზე - ლილვი. მთავარი დარბაზის კამარა ჩაქცეულია. მას იჭერდა ორი თალი, რომლებიც ყურდნობოდნენ კედლიდან საკმაოდ გამოსულ პილასტრებს. ისინი მარტივი კაპიტლებით მთავრდებიან. პილასტრებს შორის, კედლებზე გადაყვანილია თაღები, რომლებიც პილასტრების მეორე საფეხურებს ყურდობიან.

ჩრდილოეთის ნაგი გრძელი და ვიწრო სათავსია. აღმოსავლეთით ნახევრად წრიული აბსიდა და საკმაოდ განიერი სარკმელია. კონქი თითქმის არ არის, ისე გადადის აბსიდა კამარაში, ეს უკანასკნელი - ცილინდრულია. მას იჭერს კარგად თლილი ქვისაგან გამოყვანილი ოთხი თალი. დასავლეთით ოვალური სარკმელია, ჩრდილოეთის კედელზე საპირე ქვები შემოცლილია.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან მოდებული აქვს მინაშენი. მისი გეგმა ნაბრძელბულ ტრაპეციას უახლოვდება. ეს გამოწეულია აღმოსავლეთიდან ადგილის უკმარისობით. აღმოსავლეთი ნაწილი ვიწროა და დასავლეთისაკენ უფრო ვიწროა. მისი კამარა დაბალი, ტლანქი და დეფორმირებულია. კამარას იჭერს სამი თალი, რომლებიც კრონშტინების ყურდობიან. კამარა გაბზარულია მთელ სიგრძეზე, ქვები კარგად თლილია.

მთავარი ეკლესიის ორი ფასადი შემორჩა კარგად-აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, სამხრეთის ფასადი თითქმის მთლიანად დანგრეულია. ამ ფასადებს ამკარავს ეტყობათ გვიანდელი შეკეთების კვალი, შიგდა შიგ ჩართულია ძველი ქვები. ეს კარგად გათლილი დიდი ზონის ნატყრისფერი კვადრები, ახალი ქვები კი-ყვივითი ქვიშაქვაა.

დასავლეთის ფასადზე კარების ჩუქურთმის ჩარჩოს თავზე ჩასმულია ქვა, რომელზედაც მკლავებგაგანერებული ჯვარია ამოკვეთილი. მის განხრევე შესანიშნავ დეკორატივ სარკმელი, რომელზეც აღმართული იყო დეკორატიული შეკული ჯვარი (გადარჩა

მისი ქვედა მკლავი). შესასვლელის გვერდებზე, კედელში გამოყვანილია კრონშტინები.

აღმოსავლეთის ფასადი დაზიანებულია. შემორჩენილი ნაწილზე გადაეჩა სარკმლები მოჩარჩობულია შესანიშნავი დეკორით მორთულნი. კედლები ნაგებია თანაბარი ზომის, კარგად გათლილი კვადრებით. მათ წყობაში ჰორიზონტალური რიგები დატყვია. სამხრეთიდან ეკლესიას მინაშენი ჰქონდა. ამას მონიშნავს კედლების ნაშთები.

ეკლესიას ჩრდილოეთიდან მოდებული მინაშენი, როგორც მარანი, რატომღაც არც გ. ბოჭორიძესთან და არც პასპორტში მოხსენებული არ არის. არა და ეს ნამდვილად მარანია, ამაზე მეტყველებს იქ მინაში ჩადგმული უზარმაზარი ქვევრები (სულ სამი) ქვისაგან გამოთლილი თავსახურაგებით.

სამწუხაროდ, ამ უმწვენიერესი მონასტრის შესახებ ჯერ-ჯერობით სხვა წერილობით მონაცემებს ვერ მივაკვლიეთ.

როგორც ზემოთ მოტანილი მასალებიდან ირკვევა, ეს სამონასტრო კომპლექსი რამდენჯერმე ყოფილა შეკეთებულ-აღდგენილი. ამაზე მეტყველებს შემორჩენილი კედლების ფრაგმენტები. უფრო ძველი მთავრეკედლებს ტოვებს სამხრეთის კედლის გარე პირი თავისი ჩუქურთმებით, კედლებში დატანებული სახურავის საყრდენი კამარების ფრაგმენტები, სარკმლების ქვები, ჩრდილოეთ მხარეს გასასვლელში დატანებული საყრდენი სვეტი და ა. შ. ყველა ესენი ერთი ქვითაა ნაშენი, ოსტატის ერთი ხელი ეტყობა და უფრო მაღალი დონის ნახელავია, რაც ასე დამახასიათებელი იყო ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრებისათვის.

ქუმის სამონასტრო კომპლექსის აღდგენარესტავრაციას საკმაოდ დიდ აღნაშენს ხარჯებს მოითხოვს (ათეული კილომეტრი მისასვლელი გზის მოწესრიგება, მონასტრზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარება, შემორჩენილი ძველი კედლების აღდგენარესტავრაცია, სახურავის განმენდა-გადახურვა და ა. შ.). სადღეისოდ ამ თანხების მოძიება, ალბათ, ძალიან გაჭირდება. მიუხედავად ამისა, იქნებ მოხერხდება მონასტრის ტერიტორიის განმენდა და შემორჩენილი ნაწილის კონსერვაცია მაინც, რათა სახელი განადგურებული-დაქცევისაგან გადავარჩინოთ ეს თითქმის სრულიად უცნობი ისტორიული ძეგლი, რომელიც, ვინ იცის, რა საიდუმლოებასა და ჩვენთვის ჯერაც უცნობ, მაგრამ უმნიშვნელოვანეს მასალას მალავს.

თითქოს უნიშვნელო შესწავლით, თუმცა...

სამცხე - ჯავახეთი რეგიონის კომპლექსი. Includes a list of historical sites and a small image of a landscape.

ბის შესახებ. უდავოა, წინამდებარე ნიგნი მაღალი სამეცნიერო და პოლიგრაფიული დონის შესანიშნავი, დიდი საჭიროებით გამოწვეული, დროული ნაშრომია, რომელიც თაობებს გადაეცემა და მასში განხილული საკითხები სამომავლოდ მკვლევართა და დაინტერესებულ პირთათვის ორიენტირად იქცევა. აქვე, ხაზი მინდა გავუსვა იმ გარემოებას, რომ ასეთ შრომატევად ნაშრომში, შესაძლებელია, რაღაც, უმნიშვნელო შეცდომა გაიპაროს, მაგრამ იგი სამომავლოდ დავის ობიექტად არ უნდა იქცეს, რისი პრეცედენტიც საკმაოდ მრავლად მოგვეპოვება... სამწუხაროდ, ამ მხრივ, წინამდებარე ნიგნი გამოჩნდა არ წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩავთვალე აღმნიშნა რამდენიმე უზუსტობა, კერძოდ, დავიწყეთ იმით, რომ დასახელებული ცნობარის 55-ე გვერდზე ვკითხულობთ: „...ბოგა, შურდო - სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში, სვირის თემში, მდ. ჭანისწყლის მარჯვენა მხარეს, ... მისახლეობის რიცხოვნობა - 229. რიცხოვნობა უპირატესი ეროვნება - სომეხი (99%) (2002). სოფლის მახლობლად შემორჩენილია ტაძრის (VII-VIII სს.) ნანგრევები...“ პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სოფელი შურდო, სოფელ ბოგადან დაახლოებით 3 კმ-ის მოშორებით, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მდებარეობს. მისი უახლოესი მეზობელი სოფლები გიორგიწმინდა და მუგარეთია, რომელთაგან ერთად იგი ფერის თემშია გაერთიანებული (იხ. გვ.253). გეოგრაფიული მდებარეობით, სოფელი ბოგა განთავსებულია არა ჭანისწყლის, არამედ, მდ. ხომის // ხომიულას წყლის მარჯვენა მხარეს. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, „ვიდრე ხომის წყალი სოფელ ბოგის ტერიტორიაზე ჩამოედინება, მანამდე იგი გამოივლის რამდენიმე ნასოფლარს, მათ შორის: ზემო და ქვემო ხომის, შემდეგ ხომის აბანოს, გადაკვეთს სოფელ ბოგას, შურდოს, კლდის, წნისის მინდვრებს და, იქვე, სოფელ წნისის ბოლოში, უერთდება მდ.

მტკვარს“ (იხ. გ. სამსონიძე მესხური რეალები „ვეფხისტყაოსანში“ გვ.12-13). ნაშრომში შემდეგ ვკითხულობთ: „მისახლეობის რიცხოვნობა - 229. რიცხოვნობა უპირატესობა - სომეხი (99%) (2002) (!)...“ შეგახსენებთ, რომ სოფელ ბოგაში ძველთაგანვე ცხოვრობდნენ ქართველები. მათ შორის: ზაუტაძეები, ლოლაძეები, კოჭაძეები, ჩომახიძეები, სარალიძეები და ა.შ. ხოლო მათი შუა აზიაში გასახლების შემდეგ, სოფელ ბოგაში, მთავრობის განდევნების შემდეგ, 1944 წლის ნოემბერში, ჩამოსახლებული იქნა ზემო იმერეთის (ხარაგაულის რ-ნი) მოსახლეობა. ისე რომ, დღემდე, სოფელი ბოგა ქართველებით დასახლებული პუნქტია სოფლების - სვირისა და ტაჭანისთან ერთად. აქვე, საუბარია სოფლის მახლობლად შემორჩენილი ეკლესიის (VII-VIII სს.) ნანგრევებზე. იაბხ, სოფლის მახლობლად შემორჩენილია არა ერთი, არამედ ორი, სხვადასხვა დროს აგებული, ტაძრის ნანგრევები, მათ შორის: ერთი (VII-X სს.), ხოლო მეორე - (X-XI სს.) უნდა მიეკუთვნებოდეს. VII-X სს-ის ძეგლი 2003 წელს, არქეოლოგიური კვლევის საფუძველზე, შეისწავლა ს. ჯანაშიას (სახელის) სახელმწიფო მუზეუმის უფროსმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ცნობილმა მედიევისტმა არქეოლოგმა ნოე აფხაზავამ (იხ. გ. სილოვა, „შრომები, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია“, I. სოფელ ბოგისა და ნასოფლარ ორჭოსანის ნარჩრები“. გვ. 279.) რაც შეეხება მეორე ტაძარს, იგი მდ. ხომის // ხომიულას წყლის მარჯვენა მხარეს, ამაღლებულ გორაკზე, ე.წ. „წისქვილების“ და „საფუტკრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს. ეკლესია ერთნაგავიანი მონაკვეთისფერი გათლილი ქვით ნაგები ბაზილიკაა... დღემდე შემორჩენილი ნაშთი, როგორც ამას მკვლევარი დ. ბერძენიშვილი ვარაუდობს, X-XI სს. უნდა მიეკუთვნებოდეს. დასახელებული ცნობარის 189-ე გვერდზე წერია: - „რბათის ციხე, ლომისა - ციხე-ქალაქი ახალციხის მუნიციპალიტეტში“.

აღნიშნული დასახელებს უზუსტობა იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიულად არსებობს ციხის რბათი და არა რბათის ციხე. ანუ, უნდა იყოს - „ახალციხის ციხის რბათი და ახალციხის ციხე, ლომისა“ („რბათი“ სიტყვაზე იხ. ს. ჯიქია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, IV). მე-200-ე გვერდზე ვკითხულობთ: - „სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმი - მუზეუმი ქალაქციხეში, რბათის ტერიტორიაზე...“ უნდა იყოს: „საქართველოს ეროვნული მუზეუმის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმი ახალციხის ციხის ტერიტორიაზე“. გვ.186. წერია: „ქტენა - სოფელი ახალციხის მუნიციპალიტეტში“. უნდა იყოს: „არტენა“ და, როგორც ზემოთ არის. გვერდები: 106-242: „ზემო წყის და ქვემო წყის“. უნდა ეწეროს: „ზემო წყის და ქვემო წყის“ (იხ. ს. ჯიქია, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. III, გვ.91.) მიუხედავად ზემოაღნიშნული ფაქტებისა, ჩვენი შენიშვნები სრულიადაც არ აყენებს ჩრდილს წარმოდგენილ ნაშრომის ღირსებას. იმასაც ვითვალისწინებთ თუ რა დიდი შრომა და ძალისხმევაა ჩადებული მასში, მაგრამ ასევე, ვითვალისწინებთ ჩვენი მხარის ისტორიულ წარსულსა და ვითვალისწინებთ ჩვენი წინაშე არსებულ მდგომარეობას, რის გამოც თითოეული ტომონიმი, თითოეული ჩანაწერი, დიდ გაფრთხილებას და ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს. ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოთვლილი შენიშვნები მხოლოდ კეთილი სურვილებია, რათა მომავალ სამუშაოთა შესრულების დროს გათვალისწინებული იქნას სოფელ ბოგასა და სხვა გეოგრაფიული პუნქტების სახელების მიმართ დამებულები უზუსტობა და მიღებული იქნეს საჭირო ზომები აღნიშნულის აღმოსაფხვრელად.

ციური ლაფარი

გლოცავთ, ვკვამყაყობთ!



მხოლოდ ბუნებით დიდ ადამიანზე იტყვიან – კაცური კაციაო! ამ სიტყვებში რაოდენი სიყვარულია ჩადებული, ახლომყოფელთა თვალსაწიერიდან უკეთ ჩანს. ადამიანმა შეიძლება ასე ნელიც იცოცხ-

ლოს, შეიძლება მეტიც, მაგრამ ამქვეყნად ღირსეული ვერაფერი დატოვოს, რადგან ხანგრძლივი სიცოცხლე არ ნიშნავს ბევრი კარგი საქმის კეთებას.

თქვენ კი, ჩვენო დიდი და ერთგული მეგობარო, მართლა კაცური კაცობის ეტალონო, ადამიანურად, კაცურკაცობითაც განვლეს ეს მართლაც მძიმედ საავალი ნუთისოფლის ლაბირინთები და 80 წელს ისე მოიყარე, თქვენს მიმართ მხოლოდ თბილი, ტკბილი სიტყვის მეტი არა გვსმენია რა, სიკეთის თესვა ხომ თქვენი მთელი შეგნებული ცხოვრების მთავარ კრედიტად ქცეული...

ფარნაოზ ბატონო, ქართული სიტყვის დიდი ოსტატო და ხუროთმოძღვარო, თქვენი ლექსები და, მთლიანად, თქვენი შემოქმედება, თავადაა ქვეყნარბი ადამიანური ცხოვრების უტყუარი ბარომეტრი, რითაც ფასდება და გვეამაყვებით.

თქვენი ადრეული შემოდგომის ამ ნათელ, ცისმარე დღეებში, როცა საიუბილეო დღე დაგიდგათ და ღირსეულ პატივსაც მოგაგებენ როგორც თქვენი ახლობლები, მთელი კახეთის და, თვით დედაქალაქის შემოქ-

მედებითი ინტელიგენცია, ათასობით ერთგული თაყვანისმცემელი, მე, საქართველოს ამ ძირძველი, ოდესღაც დიდი, გმირული წარსულის მქონე, გულზვიადი მონაპირე მხარიდან – მესხეთიდან, რუსთაველის ნაკვეთიდან, კერძოდ, ასპინძიდან, იქიდან, საიდანაც კიდევ უფრო გაბრწყინდა ამერიკერში „პატარა კახის“ – დიდი მხედართმთავრული ნიჭისა და გონიერების სიდიადე, თქვენ, იმ ფესვგაგარი და დიდი ტრადიციების მქონე ქართლ-კახეთის სამეფო დინასტიის მაღლიან მიწაზე მოღვაწე ქვეყნარბი შემოქმედს, თავს ნებას ვაძლევ მოგილოცოთ ამაღლებული, მეგობრული სიყვარულით 80 წლის ღირსეული იუბილე.

სწორედ თქვენნიარი ადამიანების იმედზეა მტერ-მოყვრის მიერ ღირსებააყრილი საქართველოს მომავალი. თქვენნიარი ადამიანების ერთი ნაღდი სიტყვა ათასჯერ რომ გადასწონის იმ ვაიპოლიტიკანთა მთელ ცხოვრება-მოღვაწეობასაც და მათ მიერ „ნაკეთებ საგმირო საქმეებსაც“. პოეტის სიტყვა ხომ ღმერთთან ლაპარაკია, რომელსაც ჩვენ, „მოკვდავნი ამაქვეყნისა-

ნი“, უნდა აღვიქვამდეთ ვითარცა სანთელს წველიადის გასანათებლად...

დაიხ, პოეტის სიტყვა დროშაცაა, რომელიც მუდამ უნდა ფრიალებდეს, ნიშნად გამარჯვებისა და დღეს თქვენი ლექსები, ქვეყნარბი ამაღლებული, ქართული აზროვნების ბრწყინვალე გამოხატულება, ის დროშაა, რომელიც დიდხანს იფრიალებს ამ დუნიანზე, რათა ჩვენმა ახალგაზრდობამ, მომავალმა თაობებმა იცოდნენ, რომ თქვენ – ფარნაოზ რიანაული, ეს 80 წლის ბერძენი, ტაძარში დანთებული სანთელივით იწვით, რათა მომავალშიც გააცისკროვნოთ თქვენი თაყვანისმცემლების გულები.

გლოცავთ, გვეიმედებით, ჩვენო ერთგულო, უფროსო მეგობარო და გულითადად მოგილოცავთ ღირსეულ იუბილეს.

ჯანმრთელობა, ტანმრთელობა, ჩვეული სიბრძნე ნუ მოგშლოდეთ ან და მარადის!

მეგობრობით,
აშთანდილ ბერიძე,
ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“
რედაქტორი

სამსხა-ჯაჰახეთში გავრცელებული თუჩქულენოვანი ანდაზები

(გაგრძელება. დასაწყ. იხ. №3-11, 2016 წ.)

ლ

ლამით ყინვა და დღისით ღრუბელი ზამთარს გააზვიადებსო.
ლამე არ დანებება და დილით არ ადგებაო.
ლარიბი, ლარიბი, ცხვირი მოიხოცე და კიდევ ლარიბი იყავიო.
ლამით მოტანილი დღისით წაილეო.
ლეთის ამანათი (ე.ი. არაფრის მაქნისი).
ლმერთმა ჰქნას, გაქროლდესო (იტყვიან მოულოდნელ წარმატებაზე).
ლმერთი ქონის სანთლის ამნთებს ქონის სანთელს მისცემს, თავლის სანთლის ამნთებს – თავლისასო.

ყ

ყანა დიდი – თესლი მცირეო.
ყასაბი ქონზე ფიქრობდა, თხა – სიცოცხლეზეო.
ყასაბმა რომ რომ მოინდომოს, ბოტსაც ქონს ამოაცლისო (ბოტი – დაუკოდავი მამალი თხა).
ყადრის მცოდნეს ვენაცვალიო.
ყვავმა გინდა იბუღებულს, ვარდის ყადრი მაინც არ ეცოდინებაო.
ყვავსაც თავისი ბახალა უყვარსო.
ყველა გულში თითო ლომი წევსო.
ყველა თავი თითო ხმას გამოსცემსო.
ყველა ყვავილი თავის დროზე ვარდი ღირსო.
ყველა ხარს ერთი სახრით არ ერეკებიანო.
ყველა თავის თავს აქებს, ბრმაც – თავის თავსაო.
ყველა ზიანში თითო გამოცდილებაა, არც ზიანი დაილევა და არც გამოცდილებაო.
ყველას თითო ნაკლი აქვსო.
ყველა დარდი რომ ცხენი ყოფილიყო, მეც ბეითალი ვიქნებოდიო.
ყველას თავისი დარდი აქვს, მენისქვილესაც წყლისაო.
ყველა კაცს თითო მარიფათი აქვსო.
ყველა დაცხიკინებაში თითო ხეირიაო.

შ

შავი დღე, თუ სახალხო (საყოველთაო) ზეიმიო.
შარში რას მომცემო (იტყვიან უმართებულო ბრალდებაზე).
შეცვდი და მაროს და ვუნოდეო (ე.ი. ნათქვამი გამიზვიადებსო).
შეინახე ბზე და დადგება დროო (ე.ი. გამოგადგებაო).
შემოდგომა რომ დადგება, იალალი აიყრებაო.
შენი ნაფიქრალი სულიმანს ფეხებზე ჰკიდიაო.

ც

ცამ რა იწვიმა, მინამ არ მოითმინაო.
ცალი ცხენი მტვერს ვერ დააყენებსო.
ცარიელი ტომარა არ დადგებაო.
ცოტა იყოს და კარგი იყოსო.
ცოლი სხვისი შვილია, პირმშო კი შენი, კაცი შვილის მონახავს, ძმას კი ვერაო.
ცოლი ნორჩი, ქმარი ბერი, წამხდარია ყველაფერი.
ცუდად (უსაქმურად) არ რჩება და გასამსჯელოსაც არ ღებულობსო.
ცუდი ცოლი და ცუდი მეზობელი სულ რომ არ იყოს, ის სჯობიაო.
ცუდი მამისაგან კარგი შვილიო?
ცუდი დროება დათვს ყავარს დააკვრევიანებსო.
ცული ქვას შემოვკარითო (უადგილო ადგილზე სიტყვა ვთქვიო).
ცხენი გმირის მეგობარიაო.
ცხენი გაიქცევა და პალო მოსძვრებაო.

ცხენი გაქროლდა და გმირმა დაიკვებო.
ცხენიანს ცხენიდან ჩამოიღებსო (იტყვიან აშარ დედაკაცზე).
ცხელი კერძი და ცივი წყალი კბილებს გააფუჭებსო.
ცხვირი მოიხოცე და კიდევ ლარიბი იყავიო.

ძ

ძალა რომ კარს მოადგება, შარიათი (სამართალი) ბანიდან ავაო.
ძალა იღეთს მოშლის.
ძალით სილამაზე არ შეიძლებაო.
ძალით წართმევა შეიძლება, მიცემა კი არაო.
ძალით ჰასასო (პოლიციელი) მოდი და დამიჭიროო.
ძალს სისულელე იმაზე ეტყობა, რომ ერბოკვერცხიდან წილს თხოულობსო.
ძალთან ერთად ტომარაში წუ ჩაქვრებიო.
ძალი უფრო სანდოა, ვიდრე ადამიანიო.
ძალს დაუმეგობრდი, მაგრამ ჯოსს ხელიდან წუ გააგდებო.
ძალს ქვას წუ ესვრი, პატრონს ეწყინებაო.

იტირე, გინდ იცინეო.
ნამსვლელი გზაზე უნდა იდგესო.
ნარსულ დღეს დღე ვერ დაწვევაო.
ნასვლა რომ არის, დარჩენა არამიაო.
ნერა არ მომძლევაო (იგულისხმება ბედისწერა).
ნეთნეთობით ზღვა დადგებაო.
ნიწილა კვერცხშივე ჩანსო.
ნიწილებს შემოდგომით ითვლიანო.
წყალი მიიძინებს, მტერი კი არაო.
წყალი დგომა-დგომით აყროლდებაო.
წყალთან და თევზთან თამაში არ შეიძლებაო.
წყალი ნაწი და ქვიშა დარჩებაო.
წყალს ამღვრევეს, რომ თევზი დაიჭიროსო.
წყლის ადრეობა შეწყვეტის ნიშანიაო.
წყლის მოსვლამდე ბაყაყს თვალები გადმოსცივდაო.
წყლის უნახავად ფეხებს წუ იკაპინებო.
წყალში თევზი? (ე.ი. მოდი და შეაფასეო).
წყნარი ცხენის წიხილიც მტკიცეული იქნებაო.

ჭ

ჭერამიდან დუღუკი არ გაკეთდება, ზურნა



შიგნიდან მონახოსო (ე.ი. თავისიანები დაზიანდესო).
შიმშირის (ზზის) სავარცხელი და ქაჩალი თავიო.
შირიდან მომინონა, ცეცხლი ყარაო, ახლოდან გავეცანი, – შემეზარაო.
შირეული სომინი (პურის სახეა) დიდი ჩანსო.
შიუადის შემდეგ შერისაო (ე.ი. გინდ ყოფილა, გინდ არაო, რადგან შერისას დოლით მიირთმევენ).

ჩ

ჩაი რა არის, რომ საი (სათვალავი) რა იყოსო, ვითომ რამდენიც გინდა დალიეო.
ჩანატოვარი ჭკუა ჭკუა არ არისო, ჭკუა თავში უნდაო.
ჩემს სასირცხოს გავრღნი და ყსაბს არ დავენუკებო.
ჩენი ცხენი ფრუტუნებსო და ღმერთმა ქნას გაქროლდესო.
ჩენ ერთმანეთს ვენაცვალოთ და სხვა – ჩვენაო.
ჩემი სიტყვა უცხო (იტყვიან მაშინ, როცა მოსაუბრეს უნდა თქვას რაღაც ცუდი, რასაც არ უსურვებს მახლობელს).
ჩურჩულ-ფუსფუსი ოსმალოს სახლს დაუნგრევსო.

ხ

ხალხია ძლიერი თუ ბეგო, და, რა თქმა უნდა – ხალხიო.
ხალხში ბევრი მარიფათიაო.
ხალხში ცხენს კუდს წუ მოსჭრი, ზოგი გრძელს გეტყვის, ზოგი – მოკლესო.
ხალხთან შავი დღეც ბაირამიაო.
ხალხი როგორ იცი და როგორიც მე ვარო.
ხანუმმა ხალიჩაზე ფეხი მოიტეხაო.
ხარი ხარს მიგავდეს და თუ უღელს არ გასწევს, არ ვინაღვლებო.
ხარს ხართან წუ დააბამ, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო.
ხარხარი ფაშისა და სახრე ტყისაო.
ხე ერთი შემოკვერით არ ნაიქცევაო.
ხე ხეს გააპობს და სულელი კი თავს დაიღლისო.
ხელი ხელს ჰბანს და ორივე პირსაო.
ხერელი დიდიო და საკერებელი – პატარაო.
ხისგან მამაო და ქურთისგან – ფაშაო.
ხიფათი, საიდან მოდიხარ და ბრმა ბედისწერისაგანო.
ხიფათს სამოთხეო.
ხმალი სჭრის და მკლავი იკვეხისო.

ჯ

ჯანი ხელზეა დამოკიდებული.
ჯანი ჩემი ჯანიო.
ჯიშის დამკარგავი უჯიშო იქნებაო.
ჯიგართან ჯიგარდობა (ქველობა) არ იქნებაო.

ჰ

ჰა, ბედო! (იტყვიან სარისკო საქმეზე).
ჰასო მეგელმა შეჭამოსო და ჰასო გარეთ არ გავა და მეგელი შინ არ შემოვაო (ე.ი. როგორ შესჭამსო).
ჰაჯიდან მე მოვდივარ და ამბავს შენ მიყვებიო.
ჰარამზედ გარიგებას მოშლის, ჰალალზედ – გამართავსო.
ჰახი (საზღაური) მე მერგოს და მკვდარიც აუძალდებაო.
ჰარამს ბინა (ბარაქა) არა აქვსო.

ჩაიწერა არსენ კარაპეტიანმა 1989 წელს, მოგვანოდ ნარცის კარაპეტიანმა

ძალს ქვას წუ ესვრი, დაგყვავსო.
ძარცვა - გლეჯვით გავსებულს ბოლო გასერილი ექნებაო.
ძველი მეგობარი მტრად არ გაგინდებაო.
ძებნით ვერ მონახავ, იქნებ შეგხვდესო.
ძველი მტერი არ დაგიმეგობრდება და თუ დაგიმეგობრდა, გულსრული მაინც არ იქნებაო.
ძროხამ რაც გინდა ფარულად იდევნოს, მაინც უნდა მოიგოსო.
ძუქნა თუ არ დატკბა, ქოფაკი ვერ გაინძრევაო.

წ

წაბლიდან გამომძვრალა და თავისი ქურქი არ მოსწონსო.
წავა ეგ სილამაზე, მაინც არ შეგჩრებაო.
წავა ეს დროება, შენც არ შეგჩრებაო.
წავა, რა თქმა უნდაო (იტყვიან მოულოდნელ ხიფათზე).
წავიდა ვარდი, გაფრინდა ბუღბუღი, გინდ

იკითხო.
ჭკუა მარტო სწავლით არ იქნება, თავშიც უნდა იყოსო.
ჭკუა ხანში არ არის, თავშიაო.
ჭრელი ხბო მთელი ნახირის სახელს ნახებდესო.

შ

შენს სიტყვას ვერწმუნო თუ შენს საზსაო.
შენ შენს თავს წუ გაგყაროსო.
შენვე შლი და შენვე წერ, ვინ გეტყვის, რომ „შენ ვერ წერ“.
შენ ერთს წუ იზამ, ათას ვიზმონენო.
შენთან არის და ჩემთან არაო (იტყვიან, როცა ბრალდებული არ ტყდება დანაშაულში).
შენც არ შეგჩრებაო.
შენც ბატონი, მეც ბატონი, ძროხები ვინ მონველოსო.
შენ შენს თავს წუ აქებ, სხვამ გაქოსო.
შენ იცი ერთი ან ორი, სხვამ კი ათასი იცისო.

წეს-ჩვეულებები

უნძრახობა

უნძრახობა დიდი პატივისცემა იყო ოჯახის უფროსებისადმი, რომ რძალმა ზედმეტი არ თქვას, ოჯახი რომ თავის დონეზე ყოფილიყო. სანამ სადილობდნენ, ახალ რძალს უფლება არ ჰქონდა მაგიდასთან დამჯდარიყო. რძალი თავზე ადგა და თითონ არ შესჭამდა. ასე უნდოდნენ მამამთილსა და დედამთილს, მერე უჩუმიად შესჭამდა რძალი, როცა ყველა მორჩებოდა სადილ-ვახშამს.

ჩვენს სოფელში (სოფ. დადემი. ჩამნ.) ერთი ოჯახი იყო, თხუთმეტი სული. როცა ძმები ცხვარს დაჰკლემდნენ, ერთ სადილად არ ჰყოფნიდნენ (ეს ნამდვილი ამბავია), მერე რძალი გამოიტანდა ძვლებს, ძალს რო დაუყრიდა, ბოლოს, მუდამაც ამას ამბობდა: - ძალოო, მაინცა შენ ძვლები შეგხვდა, მეო, ერთი ლუკმა ძვლიც არ შემხვდაო, ვერ ჩამიღია პირშიო. მამამთილმა გაიგონა და... ჩვენსაო, ძალიან დიდი უბედურებაა, ცუდი რამ ხდებაო, ჩვენ ოჯახშიო: - რატოო, - დედამთილმა უთხრა, - ძაღლსაო, რძალმაო, ძვლები გადუყარაო, - შენ მაინც ძვლები შეგხვდაო და, ძაღლოო, მე ხომ ძვლებს არ შევჭამდი, ლუკმა არაფერი არ შემხვებდრიაო და მუდამ ასე ვართ ჩვენსა, როცა რო ცხვარი დაიკლებო. რაც გინდა იყოსო, ჩემამდე არაფერი მოდისო. მამამთილმა საჩქაროზე გაყო ოჯახი, რო, ჩვენთან, ცოდო-მართალი ყოფილაო და ყველა თავეთვის იყოსო და ცხვარიც დაკლანო, ღორიცა და ძროხაცო და ჭამონო.

პატარძალ რო მიიყვანდნენ, სანამ ხალხი ადგებოდა და ოჯახი წვერები, რძალ კარ-ბანი სულნა დიეგავა, ყველანაირად, ისე, რომ არაფერი მიზნები არ ჰქონოდა ეზოსაც, ოჯალსაც, ყველაფერს. ჰოდა, დაგვიდა. თუ რამე იყო გასაკეთებელი, გააკეთებდა და თუ მაგას არ იზმოდა, პატარძალი, უკვე არ ვარგოდა და თვალდან ამოიღებდნენ, - არვარგი რძალიაო. აგრე იყო.

პატარძალი ზის და ქსოვს, რომ თავი ქმარს წინდა დაუქსოვს. უნდა მოუსწროს, განა ფეჩი და რამე იყო, ცეცხლზე უფიცხია თან და ქსოვს. ჩიეძინა ქალს და წინდა გაუვარდა და დაინვა. გიეღვიძა სუნზე, რო გიეღვიძა, ახედა და ხელახლა დაინყო ქსოვა, იმხელა კიდე რო მოქსოვა, კიდე ჩიეძინა. ქმარი ადგა, მივიდა და ჩას-

ცხო თავში ქალსა.

- უიმე, რა იყოო, ახლა მოქსოვილი ქუსლი გავაკეთეო,
- რა იყოო და... - ეშმაკები დაგიფრთხეო, არაფერი არ იყოო, - უთქვია ქმარს...

ასეთი უბედური ყოფილა ქალის ბედი წინათ. ასეთი წეს-ჩვეულება იყო.

ჩემი დედამთილი მეტყვოდა, რო, ისაო, შენნა თქვაო, რო ქმარი მყავსო და მეცნა ვთქვა, ქმარი მყავდაო.

- რატომ- მეთქი.

- იმაზე, შვილო, რომ, ისაო, ჩემიო, ისაო, ჩემ ქმართან პური არ მიჭამიაო, ერთი ლუკმა პური მაინც შემეჭამაო, როცა ცოლ-ქმარი ვიყავითო. ეს არ ვიცი, არ მახსოვს, არასდროს, ჰოდა, შენაო, - გიორგი, ნადი, მოიტანეო, ის ქენი, ეს ქენი, ისა და შენი ესაო და ჩემი ერთია შვილოო. ისეთ ტანჯვაში ვიყავით, დედინაცვალთან ვიყავით, თოთხმეტი წლისა გამათხვიესო, 14 წლისა რო გამათხვიესო, მომიყვანა ჩემ ქმარმაო, 50 წლისა იყო, ორი ამხელა შვილები ჰყავდა, შესამე ცოლი ვიყავით. წინათ ასე იყო.

მიხრა - მეზობლისანიაო, შვილები არ მყოლიაო, მისი შვილები იყო. კიღობანში ჩალაგებული იყო ბაზლამები, პური. ბავშვები ითმენდნენ, ჩემი გერებო, რომ იმათ მოუტეხებდი და მეც ცოტას მოვიტეხებდიო. აჰა, ეგრეთი იყო წესიო და ტანჯვანამებო. და ჩემი ქმარი ისეთი ბოროტი, საცოდაუ-უბედური, რალაცა იყოო, რომ ის ქმარი კი არ იყოო, მე მეგონა, ვილაც დაუძინებელი მტერიაო. არაფერი არ იცოდა და ათი შვილიც ჰყოლია... გაუჩინებია. 10 შვილი მყამდაო, დედინაცვალი მყამდაო და ისეთი ავი, ისეთიო, მიაბენდა ჩემი მამა, სცენდაო, აუშვენდაო და მერე იმასა, მაგასაც ისეთ ტანჯვაში ჰყანდაო. მერე მოკვდაო და ახლანა გაასვენონო, არაფერი არ გვახადიაო. ჩამოვიდოდა თმოგვეში, ქერ ჩამოიტანდა და, - 15 კილო გამოგვიწერესო, სკლადიდან, ჩამოიარესო, დაფქვესო, ბაზლამა გამოაცხესო და რალაც დამპალი ფიცრები მოიტანესო და თავქვეშა აქვს სასაფლაო, იქ ჩამარხესო. გასვენების დროს საცვლებს გადაჰკიდებდნენ ობზე, რო არ დასეტყვოსო, სეტყვა არ წამოვიდესო. ცუდი ამინდი არ იყოსო. თუ წვიმა ჩაჰყვებოდა მიცვალბულს, სულ ტალახი და უბედურება იქნებოდა. მიცვალბულს რო ასვენებდნენ, ნავაგს ყრიდნენ ეზოში. წყალს ასხამდნენ, წყალმა მტვერი და რამე რომ წაიღოსო.

მთქმელი ანნა ბერიძე, 82 წლის, სოფ. ნაქალაქევი. ასპინძის მუნიციპალიტეტი. ჩაინერა აპთანდილ ბერიძემ 2016 წელს

იუბილე



90 წელი შეუსრულდა სახალხო მთქმელს გრიგოლ მამულაიძეს. მისი სახელი კარგადაა ცნობილი ჩვენი ვაზეთის მკითხველებისათვის. იგი გასული საუკუნის 40-იან წლებში, გვემიური წესით, ოჯახთან ერთად, გადმოასახლეს

ქვეყნის სიყვარული აწვინებს

დუშეთის რაიონიდან და სამუდამოდ დაშორდა ასპინძის რაიონის სოფელ საყუდაბლში. ბატონი გრიგოლი (გრიშა) წლების განმავლობაში მუშაობდა როგორც კოლმეურნეობაში, რიგით წევრად, ასევე, სხვადასხვა დროს, ამავე სოფელში, პასუხსავე თანამდებობებზეც. აქვს დაწყებითი განათლება, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია მისთვის სათანადო სწავლა-განათლება მიეღო და ბევრი შესანიშნავი მარგალიტიც შეექმნა. მისი ლექსები შესულია „მესხური ფოლკლორის“ პირველ ტომში. ბატონი გრიგოლი, მიუხედავად ხანდაზმულობისა, მაინც ვერ ელევა თავის საყვარელ საქმეს და, შესანიშნავ პოეტურ ნიმუშებს ქმნის.

ვაზეთის რედაქცია სულითა და გულით ულოცავს მსოფლიან სახალხო მთქმელს ღირსეულ იუბილეს და უსურვებს, უპირველესად, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს, ერისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია

თქმულენა რუსთაველზე

იერუსალიმში შოთა რუსთაველის ნასვლის მიზეზი, რომელიც თქვენ იცით, სულ სხვა რამ ყოფილა. მე, რაც ღრმად მოხუცებულებსაცან მომისმენია და კარგადაც მახსოვს, იმას ვამბობ, - რომ დაუნერია „ვეფხისტყაოსანი“ და ნაუკითხავთ მამებს. სამღვდლოების მრევლს წირვა-ლოცვის წიგნებისთვის გაუნებებიათ თავი და, თურმე, მარტო ამას კითხულობდნენ. ეს რომ გაუგია მღვდელთმთავარს - ეპისკოპოსს, არ ვიცი, რა უნდებოდა მაშინ, მას, ძალიან გაბრაზებული და უთქვამს: ეს რა დაუნერია, რა უბედურება არისო, მთელი სარწმუნოების წიგნებს თავი გაანებეს და მარტო ამას კითხულობენო. ეხლავე უნდა ციხეში ჩავსვათო. ეს რომ გაუგია რუსთაველს, უთქვამს: ეს რა დაუნერია სადმე, გავცავდო, თორემ არ მაპატიებსო. შემინებია. მამებს უთქვამთ, რომ, ნუ გემინია, ჩვენ ვთხოვთ, შევეხვეწებით და, მგონი, არაფერს დაგიშავებსო. არ უნდოდნენ, რომ შოთა რუსთაველი ნასულიყო სხვაგან, ისე ჰყვარებია ყველას, რომ საუკეთესო პიროვნებად მიჩნდნენ. რომ მისულან მღვდელთმთავართან და უთქვამთ, - ნუ დასჯი, დასჯი. - არაო! - მას უთქვამს, განრისხებულა და ისე ყვიროდა, რომ, გვეკონებოდა, თითქოს ტაძრის კედლები ინგრეოდნენო. ეხლავე დაიჭირეთ და ჩააგდეთ დიღვეშიო. მისულან

მამები შოთა რუსთაველთან და უთქვამთ, რომ ბევრი ვეხვეწეთ, ვთხოვეთ, მაგრამ არ ქნაო. ამიტომ უნდა ნახვიდეთ. შეუთავაზებიათ ოქრო. უარი უთქვამს შოთას - ოქრო რომ ნავილო, გზაში მეკობრეები შემხვებდნენ და ოქროსაც წამართმევდნენ და მეც მომკლავებო. ანაფორის კალთაში გამოუკერებია ჯიბე, ჩაუტოვებია შიგ თავისი წიგნი და ვარძიდან წასულა. მაშინ ვარძის მიდამოები სულ ტყით ყოფილა დაფარული. კარგა ხანი მოისმოდა თურმე, შოთას ფეხის ხმაო. ვინ იცის, რამდენი ხანი მოუნდა იმ შორი გზის გაწვლას. რომ მისულა იერუსალიმში და ქართველი სამღვდლოების ტაძრის კედელთან ჩამოეჭდარა, გამოსულა ერთი მღვდელი და შოთა რომ დაუნახავს. შესულა ტაძარში და უთქვამს მღვდელთმთავრისთვის, - ჩვენი ტაძრის გალავანთან ერთი გლახაკი ზის და ცოდვა არის, შემოვიყვანოთ ტაძარშიო. გამოსულა იგი და უთქვამს, - რის გლახაკი, ეს ჩვენი შოთა არისო, - ჩვენი საყვარელი ადამიანიო.

მთქმელი ბრიგოლ მამულაიძე, 90 წლის, ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი საყუდაბელი, ჩაინერა თიბიშრაზ მამულაიძემ 2016 წელს

შოთა რუსთაველს

იმ შენი მშობლის ჭირიმი ვინც რომ შენ გაგაჩინაო, ვინც თავის კალთით გაზარდა მგოსანი შენისთანაო. ვინაც რომ მუძუ გაწოვა, აკვანში დაგანვინაო, ვინაც გირწვედა აკვანსა, ზგიმღერა იავნანაო. დაობლებული ყმანვილი მთლიანად შეიცვალაო, მამაც მოუკლეს მტრებმა და დედაც ჩქარ გარდეცვალაო. შოთას რომ ძმაცა ჰყოლია ორივე ობლად დარჩაო, მათ აღზრდა ბიძამ იკისრა, შეინყალ-შეიბრალო. უვლიდა, როგორც მშობელი, შვილივით შეიყვარაო, დიდება იმათ, ცხონება,

ვინც სწავლა შეაყვარაო. ვინც ნერა-კითხვა ასწავლა, ქართული ანა-ბანაო, ვინც წაიყვანა იყალთოს, სანერთენლად მიაბარაო. ისწავლა წარჩინებთა, გამოცდა ჩააბარაო, დაბრუნდა მშობელ მხარეში, ქვეყანა გაახარაო. თამარ მეფემ რომ გაიგო, თავისთან დაიბარაო, მეჭურჭლეთუხუცესობა უბოძა, ჩააბარაო. ეს მცირე ლექსი დაწერე. არ მეყო მეტი ძალაო, კეთილი გრძნობით მიძღვნილი მგონი მცირედიც კმარაო.

ბრიგოლ მამულაიძე



ნახატი ჰაქელიძის არქონისა

ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.scrib.co; fcook: ლიტერატურული მესხეთი

ღაფუქანებალი:

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გაზეთი რეგისტრირებულია ასპინძის რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 15 ოქტომბერს. სარეგისტრაციო № 19/4-17

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქციის ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

გაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თამარის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meskheti@gmail.com lit_meskheti@yahoo.com

ქ. თბილისში ვაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შექმნა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე - ალ. პუშკინის ქ. №5-ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში - საქარესის“ ჯიხურებში